



ანგარიში

აღაშინანის უფლებათა ევროპული
სასამართლოსა და ბაეროს სახელშეკრულებო
ორბანოების ბაღაწყვეთილებების
აღსრულება საქართველოში

2020



კონსტიტუციის 42-ე მუხლი



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულება საქართველოში

ანგარიში

თბილისი, იანვარი 2020



E A S T • W E S T
M A N A G E M E N T
I N S T I T U T E

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დახმარებით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: ნათია კაციტაძე

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი

სამადლობელი

წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა, საქართველოს პარლამენტის და პარტნიორი ორგანიზაციების თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შედეგად. გულწრფელი მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში წარმომადგენლობის დეპარტამენტს თანამშრომლობისა და ანგარიშის მომზადებაში შეტანილი წვლილისათვის.

ანგარიშის მოსამზადებლად გაწეული სამუშაოსათვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ თანამშრომლებს: ქეთი ფრუიძეს, ირმა ლოხიშვილს, დიმიტრი ხაჩიძეს და როლან ასაკაშვილს.

და ბოლოს, ექსპერტული ხედვის, რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პროფესორ ფილიპ ლიჩს, ევროპის ადამიანის უფლებათა ცენტრის (EHRAC) დირექტორს.

შინაარსი

I.	შესავალი	5
II.	კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა	5
III.	ანგარიშის ძირითადი მიგნებები	7
IV.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მექანიზმები: საერთაშორისო სტანდარტები და შედარებითი პრაქტიკა	13
1.	ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის მექანიზმი	13
2.	გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების/კომიტეტების ზედამხედველობის მექანიზმი 15	
3.	ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ეროვნული პარლამენტების ზედამხედველობის მექანიზმი	17
4.	ევროსასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმეების ხელახალი განხილვის და გადასინჯვის მექანიზმი	23
V.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების პროცედურა საქართველოში და მისი ეფექტიანობის შეფასება	28
1.	ზოგადი მონაცემები და ტენდენციები	28
2.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება	31
3.	საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო მექანიზმი	36
4.	ეროვნულ დონეზე საქმეთა ხელახალი გამოძიებისა და გადასინჯვის მექანიზმები 41	
5.	ომბუდსმენისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა აღსრულების პროცესში ..	48
VI.	დასკვნა და რეკომენდაციები	50

I. შესავალი

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, განსაკუთრებით კი ინდივიდუალურ საჩივართა განხილვის შესაძლებლობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ღირებულებების და კანონის უზენაესობის დაცვასა და განმტკიცებაში. იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებებმა რეალური ცვლილებები მოიტანოს, აუცილებელია ეროვნულ დონეზე მათი ეფექტური აღსრულება, რისთვისაც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სათანადო ინდივიდუალური თუ ზოგადი ღონისძიებები. ამ პროცესში, თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც უნდა უწყევდეს მონიტორინგს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას.

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს იმ საერთაშორისო და ეროვნულ მექანიზმებს, რომლებიც ზედამხედველობენ ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების პროცესს.

ანგარიში ასევე მიმოიხილავს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი შვიდი გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების მონიტორინგის შედეგებს, როგორც ინდივიდუალური, ისე ზოგადი ღონისძიებების გატარების კუთხით¹.

ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და მონიტორინგის ეროვნული მექანიზმები.

II. კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიშის მომზადებისათვის გაწეული სამუშაო მოიცავდა კვლევით, სამართალწარმოებისა და ადვოკატირების კომპონენტებს, რომელთა მეშვეობით მიღებული და დამუშავებული ინფორმაცია და მიგნებები ასახულია დოკუმენტში.

¹ ბალაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №5168/06, 2014 წლის 18 მარტის განჩინება; ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №17716/08, 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება; კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №36416/06, 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება; ჭიხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №31536/07, 2018 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება; სტურუა საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №45729/05, 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება; გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №13723/06, 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №312/10), 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება.

საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის გასაანალიზებლად, საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალისა და პუბლიკაციების გარდა, გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოებიდან; გაანალიზდა რიგ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი, მათ შორის შესწავლილ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ ათეულობით საქმეზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის გაგზავნილი სამოქმედო გეგმები და მინისტრთა კომიტეტის საბოლოო და შუალედური რეზოლუციები, სტატისტიკური მასალა, იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი 2016, 2017 და 2018 წლების ანგარიშები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ და სხვა.

საქართველოს საპარლამენტო კომიტეტებში იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის გარდა² სამუშაო შეხვედრები გაიმართა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ და ზედამხედველ სახელმწიფო უწყებებთან, როგორცაა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფოს წარმომადგენლობის დეპარტამენტის წარმომადგენლები), საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი (კომიტეტი ისმენს საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშს ევროსასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე და ზედამხედველობს მათ აღსრულებას ეროვნულ დონეზე) და საქართველოს გენერალური პროკურატურა (პასუხისმგებელია ევროსასამართლოსა და სხვა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმეთა ხელახალ გამოძიებაზე); სამუშაო შეხვედრა შედგა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ახორციელებენ სამართალწარმოებას საერთაშორისო დონეზე და მონიტორინგს უწევენ საერთაშორისო მექანიზმების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებას.

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ასევე ეყრდნობა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ ცალკეულ საქმეებზე განხორციელებული სამართალწარმოების შედეგებს; კერძოდ, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ/გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეების სასამართლოს წესით გადასინჯვისა და ხელახალი გამოძიების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. ამ მიზნით, პროექტის გუნდმა ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობა განახორციელა 4 საქმეზე: 1 საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, 2

² „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით წარუდგინა ალტერნატიული ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი რიგი გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე. იხ. ალტერნატიული ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, ივლისი, 2019 წ. ხელმისაწვდომია <https://article42.ge/media/1001447/2019/07/09/42f7933b926d7298fecdb5a7db5e6aed.pdf> (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართალწარმოების წესით, ხოლო 1 საქმეზე მიმდინარეობს ხელახალი გამოძიება თბილისის პროკურატურაში³.

წინამდებარე ანგარიში ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეეხება თავად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმებს და მათ ფარგლებში არსებულ აღსრულების პროცედურას, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებას და საკანონმდებლო რეგულაციებს. ხოლო, მეორე ნაწილი დეტალურად მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების ეროვნულ მექანიზმებს, არსებულ პრაქტიკას და ამ ფონზე აფასებს მათ ეფექტიანობას. ამ ნაწილში ასევე განხილულია დადებითი მხარეები და გამოწვევები, რაც ეროვნულ დონეზე მსგავსი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში გვხვდება.

ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ემყარება პროექტის ფარგლებში შესწავლილ საკითხებს.

III. ანგარიშის ძირითადი მიგნებები

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ **აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობა 55-ს შეადგენს** - აქედან 30 გადაწყვეტილება და 25 განჩინებაა.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების მიერ საქართველოსთან მიმართებაში სულ განხილულია 6 საქმე, რომელთაგან **გაეროს სხვადასხვა კონვენციებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევა 4 საქმეზე დადგინდა**. მათგან სამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება უკვე დასრულებულია.
3. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის 17 დეკემბრის მონაცემებით, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე სამართლიანი დაკმაყოფილების სახით საქართველოს მთავრობისათვის დაკისრებული **კომპენსაციის ჯამური ოდენობა 1 040 695 ევროა**. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს მიერ მომჩივნების სასარგებლოდ დაკისრებული კომპენსაციებს საქართველოს მთავრობა იხდის დროულად და სრული ოდენობით.
4. გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, 5-მა მომჩივანმა ჯამში **83 389**

³ იხ. ზემოთ სქოლიო 1.

ათასი ლარის კომპენსაცია მიიღო საქართველოს ეროვნული სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის შედეგად.

5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საჯაროდ, სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები არასრულია (ერთიანი სტატისტიკური მონაცემები 2017 წლის მდგომარეობითაა მოცემული, საქმეთა ჩამონათვალს არ ახლავს გადაწყვეტილების მიღების თარიღი ან/და საჩივრის ნომერი და სხვ.). არ არის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი, ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2018 და 2019 წლებში გამოტანილი გადაწყვეტილებები და 2017 წელს გამოტანილი ორი გადაწყვეტილება.
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების პროცესში დადგენილი პერიოდულობით, როგორც წესი, სისტემატიურად წარუდგენს განახლებულ ინფორმაციას აღსრულების პროცესის მიმდინარეობის შესახებ, თუმცა არის გამონაკლისებიც, როდესაც დადგენილი ვადის გასვლის მიუხედავად, იუსტიციის სამინისტროს ჯერ კიდევ არ აქვს მომზადებული გადაწყვეტილებათა აღსრულების სამოქმედო გეგმა.
7. გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის. სირთულეს წარმოადგენს აღსრულებაში მყოფი საქმეების აღსრულების მონიტორინგი ორი გარემოების გამო: 1. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თავად გაეროს შესაბამისი კომიტეტები არ ასაჯაროებენ ინფორმაციას კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ. 2. იუსტიციის სამინისტრო არ ასაჯაროებს ამ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პერსონალური ინფორმაციის დაცვის მოტივით; ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია მხოლოდ ორი საქმის დეტალებს მოიცავს, მაშინ როცა გაეროს სხვადასხვა კომიტეტებს საქართველოსთან მიმართებით ჯამში 6 საქმე აქვთ განხილული.
8. ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ განხილულ საქმეებში მინისტრთა კომიტეტის მიერ იდენტიფიცირებულია ოთხი საკითხი, რომელიც ქვეყანაში არსებულ სისტემურ პრობლემებს გამოკვეთს და რომელთა მიმართ აღსრულება ე.წ. გაძლიერებული პროცედურით მიმდინარეობს. ეს საკითხები მინისტრთა კომიტეტის მიერ 4 ჯგუფად ერთიანდება: ე.წ. „ცინცაბაძის (ყოფილი ღარიბაშვილის) ჯგუფის“ საქმეები, რომლებიც შეეხება სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალვის დარღვევას სამართალდამცავი და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ და ამ დარღვევების არაეფექტურ

გამოძიებას, წინასწარი პატიმრობის უკანონობა და უფლების უკანონო შეზღუდვა (მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ), რელიგიის თავისუფლების დარღვევა (გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ) და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევა (იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ).

9. ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულება ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ამ განჩინებებში/გადაწყვეტილებებში დადგენილი დარღვევ(ებ)ის გამომწვევი მიზეზია და მათი გამოსწორების გარეშე იდენტური დარღვევ(ებ)ის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება. ხშირ შემთხვევაში, ასეთი დარღვევის გამომწვევი მიზეზი საკანონმდებლო რეგულაციებია და იუსტიციის სამინისტროს ვალდებულება ამ საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების ინიცირებაა. თუმცა, რიგ შემთხვევებში საქართველოს მთავრობის მიდგომა არ არის ორიენტირებული გამოსწორების დარღვევის გამომწვევი მიზეზები და ცვლილებებისადმი მხოლოდ ვიწრო მიდგომით გამოირჩევა. ასეთად შეიძლება დავასახელოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო განხილვის დროს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შემთხვევები, რომელიც განხილულია საქმეში *ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ამ საქმეში ევროპული კონვენციის დარღვევა აღიარა, არ განიხილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსის ცვლილებები ევროსასამართლოს ამ განჩინების აღსრულების მიზნებისათვის.
10. განმცხადებლის ან/და მისი წარმომადგენლის, პროფილური საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საქართველოს სახალხო დამცველის ჩართვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებათა/განჩინებათა აღსრულებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმის მომზადების ეტაპზე არ არის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.
11. 2016 წლიდან საქართველოს პარლამენტს აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის საზედამხედველო უფლებამოსილება. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 აპრილისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადწყვეტილებათა აღსრულების მიმდინარეობის შესახებ. 2016 წლიდან დღემდე პარლამენტმა მოისმინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 3 წლის (2016, 2017 და 2018 წწ.) ანგარიშები ევროსასამართლოს, ასევე გაეროს კომიტეტთა გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე.
12. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არ ადგენს თუ რომელი კომიტეტის უფლებამოსილებაა ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების ზედამხედველობა.

ყოველწლიურად, პარლამენტის ბიურო განსაზღვრავს პარლამენტის რომელ - იურიდიულ თუ ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს ექნება ეს უფლებამოსილება. ამ დრომდე არსებული გამოცდილება სხვადასხვაგვარია და კომიტეტები ამ ფუნქციას მონაცვლეობით ახორციელებენ. სასურველია რეგლამენტი აკონკრეტებდეს წამყვან კომიტეტს, რათა კომიტეტი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენით და მთელი წლის განმავლობაში ადევნებდეს თვალყურს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების სრულყოფილად აღსრულებას.

13. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებისა და შეფასებების წარდგენის შესაძლებლობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თაობაზე **ალტერნატიული ანგარიშები პირველად 2019 წელს წარადგინეს.**
14. საქართველოს მთავრობისა და ალტერნატიული ანგარიშების განხილვა პარლამენტის ღია სხდომაზე ხდება, რაც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს განხილვაში.
15. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის საკომიტეტი განხილვას არ ესწრებიან პასუხისმგებელი უწყებები, რომელთაც შესაძლოა შეეხოს ევროსასამართლოსა და გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ინდივიდუალური თუ ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულება. განხილვებში არ მონაწილეობს არც სასამართლო ხელისუფლება, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, ვინაიდან საქმეთა ხელახალი განხილვა/გადასინჯვა გადაწყვეტილებათა აღსრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული მექანიზმია. საკომიტეტო მოსმენებში სახელმწიფო უწყებათა მონაწილეობა პარლამენტის წევრებს მისცემთ შესაძლებლობას დამაზუსტებელი შეკითხვებით მიმართონ მათ (იქნება ეს საქართველოს გენერალური პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო თუ სხვა) და მოისმინონ ხედვა ან/და ცვლილებები, ამა თუ იმ პრობლემურ საკითხთან/პრაქტიკასთან დაკავშირებით.
16. იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ალტერნატიული ანგარიშები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წლის ივლისში განიხილა არა ერთდროულად, არამედ სხვადასხვა სხდომაზე. ალტერნატიული ანგარიშების განხილვისას არ იყო უზრუნველყოფილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობა. მნიშვნელოვანია, მთავრობისა და

ალტერნატიული ანგარიშების მოსმენა კომიტეტის ერთსა და იმავე სხდომაზე მოხდეს, რაც შინაარსობრივი დისკუსიის წარმართვას შეუწყობს ხელს.

17. საპარლამენტო მექანიზმის ეფექტურობა, მეტწილად დამოკიდებულია საქართველოს პარლამენტის წევრების აქტიურ ჩართულობასა და დაინტერესებაზე. ამ მხრივ, ანგარიშების მოსმენის პროცესი 2019 წელს შესამჩნევად ნაკლოვანი იყო. ალტერნატიული ანგარიშების განხილვას ესწრებოდა სულ რამდენიმე პარლამენტის წევრი (საშუალოდ 2-დან 5 წევრამდე), რომელთაც შეკითხვები არ დაუსვამთ. იგივე შეიძლება ითქვას იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის განხილვის თაობაზე. პარლამენტის წევრთა კომენტარების შინაარსი შემოიფარგლებოდა აღსრულების კუთხით იუსტიციის სამინისტროს მიერ გაწეული ძალისხმევის ხაზგასმით, არ გაკეთებულა კრიტიკული შენიშვნები და არ დასმულა განსახილველ უფლებრივ საკითხებზე შინაარსობრივი კითხვები. იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი ანგარიშების საკომიტეტო მოსმენაზე შეზღუდული იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მიერ შეკითხვების დასმისათვის განკუთვნილი დრო.
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისევე როგორც გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილება/განჩინება, როგორც საქმის ხელახალი განხილვის საფუძველი გათვალისწინებულია სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით, ხოლო, ადმინისტრაციული სამართლის დავებისთვის, მხოლოდ გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების შემთხვევაში. კონსოლიდირებული სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების საფუძველზე გადასინჯული/ხელახლა განხილული საქმეების შესახებ ვერ მოხერხდა, სხვადასხვა უწყების მიერ განსხვავებული მონაცემების წარმოდგენის გამო. შესაბამისად, უნდა გამოსწორდეს მსგავსი სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პრაქტიკა სახელმწიფო უწყებების და საერთო სასამართლოების მიერ.
19. საერთო სასამართლოების და საგამოძიებო ორგანოების მიერ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა/განჩინებათა საფუძველზე ეროვნულ დონეზე გადასინჯული/ხელახლა განხილული საქმეების ანალიზი რამდენიმე პრობლემური საკითხის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა:
 - a. საქმეთა გადასინჯვის შესახებ საპროცესო ნორმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ საქმის გადასინჯვის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ პირის საქმეზე, ვისთან დაკავშირებითაც მიიღო გადაწყვეტილება/განჩინება ევროპულმა სასამართლომ/გაეროს კომიტეტებმა, იმ შემთხვევაშიც კი თუ სხვა საქმეზე არსებული დარღვევა იდენტურია ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ უკვე გამოტანილ გადაწყვეტილებაში დადგენილი უფლების დარღვევისა და საქმის ინდივიდუალური გარემოებები შეფასებას არ საჭიროებს.

- b. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით, მოსამართლეთა წინააღმდეგ სადისციპლინო სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება ახლად აღმოჩენილ/გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის შემთხვევებზეც, იმ შემთხვევაშიც კი თუკი ეს ახალი გარემოება ევროპული სასამართლოს ან გაეროს კომიტეტთა გადაწყვეტილება/განჩინებაა, რომელიც განმცხადებლის უფლების დარღვევას ადგენს. ხანდაზმულობის ვადის ამგვარი ინტერპრეტაცია შინაარსს აცლის მოსამართლის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების შიდა დონეზე აღსრულების და გადასინჯვის მექანიზმს და მას უმოქმედოდ აქცევს.
- c. სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც დანაშაული ხანგრძლივი პერიოდის (10 და მეტი წელი) უკან მოხდა (ევროსასამართლოს მიერ განხილული ყველა ასეთი საქმე შეეხება სიცოცხლის უფლების ან წამების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვას), იკვეთება ხელახალი გამოძიების ეფექტურად ჩატარების პრობლემები. ამ საქმეებში საგამოძიებო ორგანოები ვერ ახერხებენ ხელშესახები შედეგის მიღწევას და გამოძიების დასრულებას. დიდი დროის გასვლა ართულებს მტკიცებულებებსა და მოწმეებზე ხელმისაწვდომობას. თუმცა, ამავდროულად, საგამოძიებო ორგანოები არ წევენ სათანადო ძალისხმევას შედეგის მისაღწევად. ჩნდება განცდა, რომ ახალი გამოძიების დაწყების პირობებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ფორმალურ ხასიათს ატარებს და მათი მიზანი გამოძიების დახურვაა და არა დამნაშავის დასჯა.

20. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მეგობრული მორიგების ან ცალმხრივი დეკლარაციით ევროპული სასამართლოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხი, ეფექტურად გამოიძიონ სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) მუხლით დაცული უფლებების დარღვევები. პრაქტიკა, როდესაც წლობით იწელება და ვერ სრულდება ხელახალი სისხლის სამართლის გამოძიებები, კითხვის ნიშნებს აჩენს თავად ევროსასამართლოს სისტემის ეფექტურობასთან დაკავშირებით, როდესაც მეგობრული მორიგებისა თუ მით უფრო, სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი დეკლარაციის მიღების შემთხვევაში ვერ ხდება სახელმწიფოს მიერ აღებული, ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესრულება.

IV. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მექანიზმები: საერთაშორისო სტანდარტები და შედარებითი პრაქტიკა

1. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის მექანიზმი

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს უმაღლესი სამთავრობათაშორისო უწყებაა, რომელსაც ექსკლუზიურად აქვს მინიჭებული ორგანიზაციის სასარგებლოდ მოქმედების და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. მინისტრთა კომიტეტი შედგება ევროპის საბჭოს წევრების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან. საპარლამენტო ასამბლეასთან თანამშრომლობით, მინისტრთა კომიტეტი იღწვის ევროპის საბჭოს ძირეული მიზნების მისაღწევად და ზედამხედველობს წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. მინისტრთა კომიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას წევრ ქვეყნებში კონვენციებისა და ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამგვარი ზედამხედველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მიღებული დოკუმენტების შესასრულებლად.⁴

მინისტრთა კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობა, რითაც იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამ სისტემისადმი ნდობის შენარჩუნებაში. მინისტრთა კომიტეტის ეს უფლებამოსილება განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.⁵ კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები აღიარებენ სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულო ძალას ნებისმიერ საქმეში, სადაც ისინი წარმოადგენენ მხარეს და მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მათ აღსრულებას. ეს გულისხმობს მთელი რიგი ვალდებულებების აღიარებას. უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ოდენობის თანხის გადახდას, რომელსაც აწესებს სასამართლო, სამართლიანი დაკმაყოფილების სახით. ასევე, არსებობს მთელი რიგი ზომების მიღების ვალდებულება, რაც დამოკიდებულია თითოეული საქმის გარემოებებზე. ეს არის ინდივიდუალური ზომები განმცხადებლის სასარგებლოდ, რათა შეწყდეს უფლების დარღვევა ან გამოსწორდეს ასეთი დარღვევის

⁴ იხ. ევროპის საბჭო, ევროპული კონვენცია და მისი დანერგვა საქართველოში, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, თბილისი, 2010, გვერდი 16. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://article42.ge/media/1001447/2017/10/23/d214726ab4a8bff794dbe3beb0076c32.pdf> (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლი. კონვენციის ქართული ტექსტი ხელმისაწვდომია ბმულზე https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf. (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

შედეგები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაო ხასიათის ზომები/ზოგადი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს მომავალში მსგავსი სახის დარღვევების თავიდან აცილებას. მაგალითისთვის, ზოგადი ღონისძიება შეიძლება გულისხმობდეს კანონმდებლობის ცვლილებას, ტრენინგებს და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლის მიზნით და ა.შ.

მინისტრთა კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა აღსრულების ზედამხედველობა ხორციელდება რეგულარული ე.წ. ადამიანის უფლებათა შეხვედრების (DH Meetings) მეშვეობით, რომლებიც წელიწადში ოთხჯერ იმართება.

2011 წლის იანვრიდან ამოქმედდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ზედამხედველობის ახალი სისტემა, რომლის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტი აღსრულებაზე ზედამხედველობას ორი სახის - სტანდარტული და გაძლიერებული პროცედურის შესაბამისად ახორციელებს. სტანდარტული პროცედურის ფარგლებში ზედამხედველობა ხდება ყველა განჩინების/გადაწყვეტილების აღსრულებაზე. გარკვეული კატეგორიის საქმეები ავტომატურად ექვემდებარება გაძლიერებული პროცედურით ზედამხედველობას, ესენია:

- საქმე, რომელშიც აუცილებელია სასწრაფო ინდივიდუალური ღონისძიებების გატარება
- ე.წ. პილოტური გადაწყვეტილება
- საქმე, რომელიც ეხება სისტემურ პრობლემას
- სახელმწიფოთაშორისი საქმე

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კონკრეტულ განჩინებასთან/გადაწყვეტილებასთან მიმართებით, გაძლიერებული ზედამხედველობის განხორციელება შეიძლება მოითხოვოს სახელმწიფომ ან მინისტრთა კომიტეტის სამდივნომ.⁶

მას შემდეგ, რაც მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ყველა ზომა გაატარა გადაწყვეტილების აღსრულებლად, კომიტეტი იღებს დასკვნით რეზოლუციას. რეზოლუციაში აღწერილია თუ რა ზომები გატარდა ევროსასამართლოს გადაწყვეტილების სრულად აღსრულებისათვის. კომიტეტმა შესაძლოა, ასევე, მიიღოს შუალედური რეზოლუცია, რომელშიც აღწერს სახელმწიფოს მიერ, გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გატარებულ ზომებს, ან/და გამოხატავს შეშფოთებას და გასცემს მოსაზრებებს თუ რისი გაკეთებაა საჭირო ევროსასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების სრულყოფილად აღსრულებისათვის.⁷

⁶ იხ. ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე, ბმულზე <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/254> . (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

⁷ იხ. „ევროპის საბჭო, ევროპული კონვენცია და მისი დანერგვა საქართველოში,“ კონსტიტუციის 42-ე მუხლი, გვ. 14, 2010 წ., ხელმისაწვდომია ბმულზე <https://article42.ge/media/1001447/2017/10/23/d214726ab4a8bff794dbe3beb0076c32.pdf> (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მომჩივნის წარმომადგენლები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRI) და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები. 2006 წელს „გადაწყვეტილებებისა და მორიგების პირობების აღსრულების წესების“ მე-9 წესში შესული ცვლილების თანახმად, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს და საკითხით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მინისტრთა კომიტეტს მიაწოდონ ინფორმაცია ამა თუ იმ გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე.⁸

სამოქალაქო საზოგადოების და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების „ჩრდილოვან ანგარიშებს“ შეუძლია ხაზი გაუსვას ეროვნულ დონეზე არსებულ პრობლემებს და წარმოადგინოს ანგარიშგასაწევი მასალები, რამდენად ეფექტური იქნება სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ან/და მიღებული ზომები ამათუ იმ გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. მაგალითისთვის, ამგვარი ინფორმაცია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტმა მიიღო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა აბორტი, ტერორიზმი და ბოშების უფლებები.⁹

2. გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების/კომიტეტების ზედამხედველობის მექანიზმი

გაეროს ადამიანის უფლებათა სახელმეკრულებო ორგანოები წარმოადგენს დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტებს (შემდგომში კომიტეტები), რომლებიც მონიტორინგს უწევენ წევრ სახელმწიფოთა მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელმეკრულებების შესრულებას. ისინი, განიხილავენ წევრი სახელმწიფოების მიერ პერიოდულად წარდგენილ ანგარიშებს ხელმეკრულებათა დებულებების

⁸ იხ. მინისტრთა კომიტეტის წესები სასამართლო გადაწყვეტილებებისა და მეგობრული შეთანხმების პირობების აღსრულებაზე ზედამხედველობის შესახებ წესი 9, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/16806eebf0> (ბოლოს ნანახია 20.01.2020); იხ. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება, სახელმძღვანელო არასამთავრობო ორგანიზაციების, დაზარალებულებისა და მათი წარმომადგენლებისათვის, იმპლემენტაციის ევროპული ქსელი, ივლისი 2019 წ. ხელმისაწვდომია ბმულზე https://static1.squarespace.com/static/55815c4fe4b077ee5306577f/t/5d1af89d5758020001327f66/1562048743990/EN_Handbook_EIN_2019.pdf, (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი აძლევს რჩევებს და ეხმარება მინისტრთა კომიტეტს საზედამხედველო ფუნქციის შესრულებაში. დეპარტამენტი ასევე ეხმარება წევრ სახელმწიფოებს სრულყოფილად, ეფექტურად და სწრაფად აღასრულონ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების დეპარტამენტი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.coe.int/en/web/execution/presentation-of-the-department> (ბოლოს ნანახია 20.01.2020). იხ. ასევე, ლუჩია მირა ვიქტორია პრაისი, სამოქალაქო საზოგადოების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიმოხილვა 2012. ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.vickiprais.com/VickiPrais/wp-content/uploads/2013/06/EHRLR-Article-Nov-2012-1.pdf> (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯების შესახებ. სახელმწიფოებო ორგანოთა უმრავლესობას გააჩნია ინდივიდუალური საჩივრების მიღებისა და განხილვის მანდატი. ზოგიერთი მათგანი ასევე უფლებამოსილია ჩაატაროს კონკრეტულ პრობლემათა მოკვლევა.¹⁰

კომიტეტების გადაწყვეტილებების აღსრულება გულისხმობს მოპასუხე სახელმწიფოების მიერ გადაწყვეტილების იმპლემენტაციის პროცესს და კომიტეტების მიერ ე.წ. მიდევნების (follow-up) პროცედურას. სწორედ მიდევნების პროცესის საშუალებით კომიტეტი აკვირდება და იძიებს ინფორმაციას, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ეროვნულ დონეზე მისი გადაწყვეტილების/რეკომენდაციისა თუ დასკვნის შესასრულებლად.¹¹

კომიტეტების გადაწყვეტილებების აღსრულების პროცედურასთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს კომიტეტების გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. ასეთი გადაწყვეტილებები საბოლოოა.

კომიტეტების გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების ავტორიტეტულ განმარტებას წარმოადგენს. განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან, კომიტეტების გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა არ აქვს. ისინი შეიცავს რეკომენდაციებს წევრი სახელმწიფოს მიმართ. როდესაც კომიტეტი ასკვნის, რომ სახელმწიფომ დაარღვია შესაბამისი ხელშეკრულება, სახელმწიფოს ევალება 180 დღის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია მის მიერ კომიტეტის რეკომენდაციების დანერგვის მიზნით გატარებული ღონისძიებების თაობაზე. ამის შემდგომ, სახელმწიფოს მიერ მომზადებული ინფორმაცია გადაეცემა მომჩივანს კომენტარებისათვის.

თუ სახელმწიფო ვერ მიიღებს შესაბამის ზომას დარღვევის აღმოსაფხვრელად, საქმე კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ რჩება ე.წ. მიდევნების (follow-up) პროცედურის ფარგლებში. ამის შემდგომ მიმდინარეობს დიალოგი სახელმწიფოსთან და საქმე არ

¹⁰ იხ. „გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა პროგრამასთან თანამშრომლობა“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ხელმისაწვდომია ბმულზე https://catalog.nplg.gov.ge/search~S1*geo?cK+27.505%2F4/ck++++27.505+4/-3,-1,,E/browse (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

¹¹ იხ. დასკვნით გადაწყვეტილებებზე აღსრულების (მიდევნების) პროცედურა, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.ohchr.org/EN/HRBodies/Pages/FollowUpProcedure.aspx>, (ბოლოს ნანახია 20.01.2020); იხ. ასევე „მიდევნება და ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია“, 2009 წლის 10 სექტემბრის ექსპერტთა სემინარის ძირითადი საკითხებისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა. ბრისტოლის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა იმპლემენტაციის ცენტრი. ხელმისაწვდომია <http://www.bris.ac.uk/media-library/sites/law/migrated/documents/implementationtreaty.pdf> (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

დაიხურება, სანამ კომიტეტისათვის დამაკმაყოფილებელი ღონისძიებები არ იქნება გატარებული.¹²

როგორც ვხედავთ არ არსებობს ერთი კონკრეტული ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფოების მიერ მათ მიმართ ინდივიდუალური საჩივრების საფუძველზე გამოტანილი გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებების აღსრულებას (ევროპის საბჭოსგან განსხვავებით). ასევე, პრაქტიკაში არ ხდება იძულებითი ღონისძიებების გამოყენება სახელმწიფოების მიერ კომიტეტების გადაწყვეტილებების აღსრულებლობის შემთხვევაში, რადგანაც გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა არ აქვთ. გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების სისტემა ეფუძნება პრინციპს, რომ სახელმწიფოებს უპირველესი მოვალეობა აქვთ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

ადამიანის უფლებათა დარღვევების მსხვერპლნი და სამოქალაქო საზოგადოება ხშირად აკრიტიკებენ გაეროს სახელმწიფოებო ორგანოებს და მოუწოდებენ უფრო აქტიურად ჩაერთოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესში. დღის წესრიგში დადგა საფუძვლიანი შეკითხვა თუ რამდენად არიან სახელმწიფოებო ორგანოები ეფექტური მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების „მიდევნების“ ან იმპლემენტაციის თვალსაზრისით.¹³

3. ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ეროვნული პარლამენტების ზედამხედველობის მექანიზმი

პარლამენტი წარმომადგენლობითი დემოკრატიის ცენტრალური ინსტიტუტია, მიუხედავად იმისა თუ რა სახის მმართველობის სისტემა გვხვდება ამა თუ იმ სახელმწიფოში, იქნება ეს საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თუ ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობა. ადამიანის უფლებათა სფეროში პარლამენტის უპირველესი ფუნქცია არის კანონშემოქმედება. შესაბამისად, პარლამენტის პირველადი ამოცანაა, უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის თანხვედრა/შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. ამას გარდა, ეროვნულ პარლამენტებს აქვთ

¹² „რა ხდება, როცა კომიტეტი საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს“, ინფორმაცია ხელმისაწვდომია გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, იხილეთ ბმულზე <https://www.ohchr.org/en/hrbodies/tbpetitions/Pages/IndividualCommunications.aspx> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

¹³ იხ. „მიდევნება და ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებათა იმპლემენტაცია“, 2009 წლის 10 სექტემბრის ექსპერტთა სემინარის ძირითადი საკითხებისა და რეკომენდაციების მოკლე მიმოხილვა. ბრისტოლის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა იმპლემენტაციის ცენტრი. ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.bris.ac.uk/media-library/sites/law/migrated/documents/implementationtreaty.pdf> (ბოლოს ნანახია 20.01.2020).

მნიშვნელოვანი ფუნქცია, ზედამხედველობა გაუწიონ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულებას.¹⁴

გაეროს გენერალური ასამბლეის 2012 წლის დეკლარაცია „კანონის უზენაესობაზე“ განსაკუთრებულად გამოყოფს პარლამენტების როლს ადგილობრივ დონეზე კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში¹⁵. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პარლამენტების მუშაობას, ასახონ ეროვნულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები და შესაბამისად, ხელი შეუწყონ გაეროს თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებებთან მიმართებით აღებული ვალდებულებების შესრულებას და კანონის უზენაესობის განმტკიცებას¹⁶.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა არაერთი წელია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ეროვნულ დონეზე შექმნან საპარლამენტო კომიტეტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობისათვის. ამასთან, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა რამდენიმე რეზოლუცია, რომლებიც ახალისებს წევრ სახელმწიფოებს, ეფექტური გახადონ ეს პროცესი. საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციით:

„ეროვნულმა პარლამენტებმა უნდა შექმნან შესაბამისი საპარლამენტო სტრუქტურები, რათა უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მკაცრი და რეგულარული მონიტორინგი და ზედამხედველობა, როგორცაა ადამიანის უფლებათა კომიტეტები ან შესაბამისი ანალოგიური სტრუქტურები, რომელთა უფლებამოსილებებიც ნათლად იქნება განსაზღვრული და დადგენილი კანონით.“¹⁷

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ამ კუთხით მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში და რამდენიმე ქვეყანამ უკვე დანერგა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი, მათ შორისაა საქართველოც, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი.

¹⁴ იხ. ეროვნული პარლამენტები, ადამიანის უფლებების გარანტორები ევროპაში, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, ევროპის საბჭო, სექტემბერი 2018, გვ. 8.

¹⁵ გაეროს გენერალური ასამბლეის მაღალი დონის შეხვედრა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის მნიშვნელობის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/67/L.1, 19 სექტემბერი, 2012 წ. პარაგრაფი 34.

¹⁶ იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, პარლამენტების წვლილი ადამიანის უფლებათა კომიტეტის მუშაობასა და უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაში, A/HRC/30/L.23, 29 სექტემბერი 2015.

¹⁷ იხ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1823 (2011), ეროვნული პარლამენტები - ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი ევროპაში. დანართი - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების საპარლამენტო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, პუნქტი. 1. ხელმისაწვდომია ბმულზე <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=18011&lang=EN> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაციის საპარლამენტო ზედამხედველობის სამ მოდელს გამოყოფს: სპეციალიზებული მოდელი, სადაც შექმნილია ცალკე მდგომი ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ქვეყნის კანონმდებლობისა და აღმასრულებელი შტოს საქმიანობის შესაბამისობას; მოდელი, სადაც არ არსებობს სპეციალიზებული ადამიანის უფლებათა კომიტეტი, არამედ სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტები, თავისივე უფლებამოსილების ფარგლებში მუშაობენ ადამიანის უფლებათა საკითხებზე (ე.წ. მეინსტრიმული ან „cross-cutting“ მოდელი) და ჰიბრიდული მოდელი, სადაც სხვადასხვა კომიტეტები თავისი მანდატის ფარგლებში განიხილავენ ადამიანის უფლებათა საკითხებს და/ან რამდენიმე კომიტეტის წარმომადგენელთაგან შექმნილია სპეციალიზებული, ადამიანის უფლებათა ქვე-კომიტეტი.¹⁸

სპეციალიზებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის სისტემა დანერგილი აქვთ დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, ლატვიის, ფინეთის და მონტენეგროს პარლამენტებს. ე.წ. მეინსტრიმული მოდელი, ანუ მოდელი სადაც სპეციალიზებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის ნაცვლად ადამიანის უფლებების საკითხებს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ყველა კომიტეტი, დანერგილი აქვთ ჰოლანდიას, ნორვეგიას, ესტონეთს, შვეიცარიას, ხოლო ჰიბრიდული მოდელი გვხვდება გერმანიაში, პოლონეთში, საქართველოში, იტალიასა და ლიტვაში.¹⁹

დიდი ბრიტანეთი

ადამიანის უფლებათა ერთობლივი კომიტეტი (JCHR) სპეციალიზებული ადამიანის უფლებების კომიტეტის მოდელის მაგალითია. იგი მუშაობას 2001 წელს შეუდგა და ჰყავს 12 თანაბრად წარმოდგენილი წევრი თემთა და ლორდთა პალატებიდან. JCHR–ს ამჟამად ჰყავს ორი სპეციალური იურიდიული მრჩეველი ადამიანის უფლებების სფეროში, რომლებიც ინტენსიურად უწევენ სამსახურს მის წევრებს. კომიტეტის ოფიციალური კომპეტენცია ძალიან ფართოა, რაც მოიცავს ადამიანის უფლებების საკითხებს დიდი ბრიტანეთში, ინდივიდუალური შემთხვევების გამოკლებით. კომიტეტმა თავისი მანდატი მრავლისმომცველად განმარტა. სხვა საქმიანობებთან ერთად იგი:

- შერჩევითად მიმოიხილავს მთავრობის კანონპროექტებს (და, თუ ეს შესაძლებელია, კანონპროექტების შედგენას) ადამიანის უფლებებთან თავსებადობის კუთხით და სთავაზობს ცვლილებებს კანონპროექტებში ყოველგვარი შეუთავსებლობის

¹⁸ იხ. ეროვნული პარლამენტარები, ადამიანის უფლებათა გარანტორები ევროპაში, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, ევროპის საბჭო, 2018 წლის სექტემბერი, გვ. 48, ხელმისაწვდომია <http://website-pace.net/documents/19838/4986890/HumanRightsHandbook-EN.pdf/2318235f-b1fd-4cd9-8a29-83cc98615917> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

¹⁹ იხ. ეროვნული პარლამენტარები, ადამიანის უფლებათა გარანტორები ევროპაში, სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, ევროპის საბჭო, 2018 წლის სექტემბერი, გვ. 49-54. იხ. ასევე, პარლამენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ალისა დონალდი და ფილიპ ლიჩი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. გვ. 75-84.

აღმოსაფხვრელად, რაც წარმოდგენილია მის მოხსენებებში. JCHR-ს საკანონმდებლო (ან წინარე საკანონმდებლო) შემოწმებას ხელს უწყობს „ადამიანის უფლებათა მემორანდუმი“, რომელიც მომზადებულია მთავრობის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან კანონპროექტის შესაბამისობის თაობაზე

- ამოწმებს აღმასრულებელი ხელისუფლების რეაგირებას სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების თაობაზე (მაგალითად, მთავრობის ვალდებულება, 4 თვის ვადაში მიაწოდოს დეტალური გეგმა რეაგირების თაობაზე და 6 თვის ვადაში მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება თუ როგორ უნდა გამოსწორდეს დარღვევა)
- აწარმოებს თემატურ გამოძიებებს გაერთიანებულ სამეფოში ადამიანის უფლებათა იმ საკითხებზე, რომლებზედაც არსებობს შეკითხვები და წუხილის მიზეზი
- შერჩევითად ზედამხედველობს დიდი ბრიტანეთის მიერ გაეროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას როგორც წინასწარი, ისე შემდგომი რატიფიკაციის პროცესში²⁰

ნიდერლანდები

ნიდერლანდებმა აირჩია „სრულად მენსტრიული“ მოდელი, სადაც არც ერთ ცალკეულ კომიტეტს ან ქვეკომიტეტს არ აქვს სპეციალიზებული უფლებამოსილება, განიხილოს ადამიანის უფლებების საკითხები. ამის ნაცვლად, აღნიშულ საკითხებს განიხილავენ სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტები თავიანთი მანდატების ფარგლებში.

ნიდერლანდებში არც ერთ საპარლამენტო კომიტეტს არ გააჩნია უფლებამოსილება შეამოწმოს კანონმდებლობა კონვენციასთან შესაბამისობის კუთხით ან განახორციელოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობა. არც რაიმე სპეციალიზებული ადამიანის უფლებათა განყოფილება არსებობს, რომელიც პარლამენტის წევრების განკარგულებაში იქნებოდა. თუმცა, პარლამენტის თითოეულ პალატას (წარმომადგენელთა პალატა და სენატი) ჰყავს როგორც მუდმივი იუსტიციის კომიტეტი, ასევე იურიდიული სამსახური, რომელიც ამოწმებს კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობას.

მთავრობის კანონპროექტებს თან ახლავს განმარტებითი მემორანდუმი, რომელიც ახდენს ევროპულ კონვენციასთან ან ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ნებისმიერი საკითხის იდენტიფიცირებას. გარდა ამისა, ყველა კანონპროექტი, ვიდრე ისინი წარედგინება პარლამენტს, უნდა წარედგინოს სახელმწიფო საბჭოს (კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი საკონსულტაციო ორგანო)

²⁰ იხ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, PPSD (2014) 22, 2014 წ. 13 ოქტომბერი, პარლამენტების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების დანერგვაში: არსებული სტრუქტურების და მექანიზმების მიმოხილვა, გვერდი 7, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.assembly.coe.int/CommitteeDocs/2014/E-PPSD14-22%20BackgroundECHRstandards.pdf> (ბოლოს ნანახია 21.10.2020).

მოსაზრებისათვის, ისეთი საკითხების ჩათვლით, როგორცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, რომელსაც მთავრობა თავის მხრივ პასუხობს. ეს მასალა ინფორმაციას აწვდის პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს შემდგომი საკანონმდებლო შემოწმებისათვის. პარლამენტარებმა რჩევისათვის, ასევე, შეიძლება მიმართონ სახელმწიფო საბჭოს ან სახელმწიფო მოხელეებს იუსტიციის სამინისტროში, რომლებიც გადიან სწავლებას ადამიანის უფლებათა სფეროში. მთავრობა ასევე, ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს პარლამენტს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.²¹

გერმანია

გერმანიამ დანერგა საპარლამენტო ზედამხედველობის ჰიბრიდული მოდელი. ჰიბრიდული მოდელი, რომელიც წარმოადგენს სპეციალიზებული და „სრულად მენისტრიმული“ მოდელის კომბინაციას, საკმაოდ გავრცელებულია ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში. ამ მოდელში ერთზე მეტ საპარლამენტო კომიტეტს ან ქვე-კომიტეტს აქვს ადამიანის უფლებათა მანდატი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ან არ მოიცავდეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მონიტორინგის ფუნქციას.

გერმანიის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა საკითხებს ბუნდესტაგის (პარლამენტის ქვედა პალატა) ორი კომიტეტი განიხილავს. ერთი - ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული დახმარების კომიტეტი, რომელშიც 18 წევრია და მეორე იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, რომელშიც 37 წევრია. საჩივრების კომიტეტსაც შეუძლია განიხილოს ადამიანის უფლებათა საკითხები მის მიერ ინდივიდუალური საჩივრების განხილვის პროცესში, თუ საქმე ეხება საზოგადოებაზე კანონმდებლობის გავლენას.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტროსთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული დახმარების კომიტეტი იშვიათად წარმოადგენს მთავარ კომიტეტს კონკრეტულ თემებზე ვინაიდან, მას არ აქვს ბმა რომელიმე სპეციალურ სამინისტროსთან. ამის ნაცვლად, იგი განიხილავს ადამიანის უფლებების საკითხებს ფართო პერსპექტივიდან - საერთაშორისო დონეზე და გერმანიასთან მიმართებით. არც ერთ კომიტეტს არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მანდატი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით; დამოუკიდებელ, ექსპერტულ კონსულტაციებს დეპუტატებს უწევს პარლამენტში არსებული კვლევითი სამსახური, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე.

როდესაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭიროა ახალი კანონმდებლობის მიღება ან ძველი კანონმდებლობის ცვლილება, საკითხს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განიხილავს. კომიტეტი იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ადგენს საჭიროა თუ არა საკანონმდებლო ცვლილება ევროსასამართლოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების სრულად აღსრულებისათვის.

²¹ იქვე.

ამასთან, იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს პარლამენტს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და მათი აღსრულების მდგომარეობის შესახებ.²²

პოლონეთი

პოლონეთმა აირჩია სპეციალიზებული ქვე-კომიტეტის მოდელი, რომელსაც მინიჭებული აქვს ადამიანის უფლებათა მანდატი. კერძოდ, 2014 წლის თებერვალში პოლონეთის სეიმის (პარლამენტის ქვედა პალატა) იუსტიციის და ადამიანის უფლებათა და საგარეო საქმეთა კომიტეტებმა ერთობლივად შექმნეს მუდმივმოქმედი ქვეკომიტეტი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე.

ახალი ქვეკომიტეტი შედგება 11 დეპუტატისგან და მისი მანდატი მოიცავს მინისტრთა საბჭოს მიერ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის დეტალურ განხილვას და მოსაზრებების პროექტის მომზადებას სეიმის, იუსტიციის და ადამიანის უფლებების კომიტეტისა და საგარეო საქმეთა კომიტეტისათვის. ევროსასამართლოს შესახებ მინისტრთაშორის შეხვედრებზე ასევე მიწვეული არიან პოლონეთის სეიმის და სენატის წარმომადგენლები.²³

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოთ აღწერილი მოდელი ადამიანის უფლებების აღსრულებაზე ზედამხედველობის საპარლამენტო მოდელად არის მიჩნეული, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიც უპირატესობას სპეციალიზებულ და ჰიბრიდულ მოდელებს ანიჭებენ, ე.წ. მენსტრიმული (ან „cross-cutting“) მოდელთან შედარებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი მომხსენებლის აზრით, „ცალსახა უპირატესობა“ აქვს სპეციალიზებული კომიტეტის მქონე საპარლამენტო მოდელს, რადგან ნათლად არის გაწერილი მისი უფლებამოსილებები. როდესაც უფლებამოსილებები გადამკვეთია არსებობს რისკი, რომ ყველას ვალდებულება არავის ვალდებულებას არ წარმოადგენს.²⁴ თუმცა, ნებისმიერი მოდელის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მათი რეალური ფუნქციონირება; არის მაგალითები, სადაც სპეციალიზებული ადამიანის უფლებათა კომიტეტის არსებობის პირობებშიც კი, კომიტეტის საქმიანობა არ მოიცავს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე თვალის მიდევნებას, ანდა, ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი საკითხების

²² იქვე.

²³ იხ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, PPSD (2014) 22, 2014წ. 13 ოქტომბერი, პარლამენტების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების დანერგვაში: არსებული სტრუქტურების და მექანიზმების მიმოხილვა, გვ. 4, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.assembly.coe.int/CommitteeDocs/2014/E-PPSD14-22%20BackgroundECHRstandards.pdf> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

²⁴ იხ. პარლამენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ალისა დონალდი და ფილიპ ლიჩი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. გვ. 84-85.

გადასაწყვეტად, არსებითი მნიშვნელობა აქვს თუ რა პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობს პარლამენტის შიგნით ესა თუ ის კომიტეტი²⁵.

4. ევროსასამართლოს და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმეების ხელახალი განხილვის და გადასინჯვის მექანიზმი

საქმეთა ხელახალი განხილვა ან გადასინჯვა ეროვნულ დონეზე არის საგამონაკლისო, თუმცა ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვან ინდივიდუალურ ღონისძიებათაგანი, რომელსაც ევროსასამართლო უწესებს დამრღვევ სახელმწიფოს მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ქვეყნის შიგნით ხელისუფლების მიერ საქმის ხელახალი განხილვა ან გადასინჯვა სასამართლოს მიერ, სრულფასოვანი რესტიტუციის (*restitutio in integrum*) მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წელს მიღებული ერთ-ერთი რეკომენდაცია კონვენციის ხელმძღვანელ სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ საქმის გადასინჯვა/ხელახალი განხილვა იმ შემთხვევებში, როცა ევროსასამართლო კონვენციის დარღვევას აღმოაჩენს²⁶. მინისტრთა კომიტეტი თავის რეკომენდაციაში აღწერს იმ შემთხვევებს, როცა ეროვნულ დონეზე საქმის ხელახალი განხილვა ან გადასინჯვა, საუკეთესო თუ არა, ერთადერთი საშუალებაა ევროპული კონვენციის დარღვევის გამოსწორებისათვის. კერძოდ, i) როდესაც მომჩივანი კვლავ განიცდის ეროვნულ დონეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების უარყოფით შედეგებს და მათი გამოსწორება შეუძლებელია მხოლოდ სამართლიანი დაკმაყოფილებით და საქმის ხელახალი განხილვის/გადასინჯვის გარეშე, ii) ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უთითებს, რომ a. ეროვნულ დონეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციას ან b. ეროვნულ დონეზე საქმის განხილვის დროს დაშვებული იყო ისეთი ხარვეზები, რომელთაც არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლოთ საქმის საბოლოო შედეგზე.²⁷ მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა ხელახალი განხილვის ან გადასინჯვის მექანიზმი რელევანტური უმეტესად სისხლის სამართლის საქმეებშია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მის შექმნას სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებისთვისაც უწევს რეკომენდაციას.²⁸

შედეგად, კონვენციის ხელმძღვანელმა ბევრმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, ევროსასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევებში, საქმის

²⁵ იხ. იქვე. გვ 86-87.

²⁶ იხ. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R (2000)2, ხელმისაწვდომია ბმულზე https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e2f06 (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე. ევროპულის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R 2000(2) რეკომენდაციის განმარტებითი მემორანდუმი.

ხელახალი სასამართლო განხილვის მექანიზმი აამოქმედა. საქართველოს მაგალითზე ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი.

ავსტრია

ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 363a-363c მუხლების თანახმად, (Strafprozessordnung 1975-StPO) ავსტრიის უზენაეს სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვა ევროსასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ავსტრიის სისხლის სამართლის სასამართლომ (მათ შორის, ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ) დაარღვია ევროკონვენციის დებულებები. საქმის გადასინჯვის საკითხის გადაწყვეტისას ავსტრიის უზენაესი სასამართლო მკაცრად უნდა მიყვეს ევროპული სასამართლოს დასაბუთებას. საქმის გადასინჯვის პროცედურა შეიძლება დაიწყოს მსხვერპლის ან გენერალური პროკურორის ინიციატივით. თუ უზენაესი სასამართლო მიიღებს საქმის ხელახალი განხილვის განჩინებას, იგი ან თავად გადაწყვეტს საქმეს ან მას გადაუზღავნის პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების გამოც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლი.

რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო პროცესის განახლებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს მესამე პირებზე, არ არსებობს კონკრეტული დებულებები, რომელიც უშვებს სამოქალაქო სამართალწარმოების განახლებას ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის გაუქმებამ ან ხელახლა სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვამ, რომელიც ეფუძნება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, შეიძლება გამოიწვიოს დაკავშირებული სამოქალაქო წარმოების განახლება, საქმის წარმოების განახლების შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი დებულებების შესაბამისად.

ანალოგიურად, არ არსებობს კონკრეტული დებულებები, რომლებიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ხელახალი განხილვის შესაძლებლობას იძლევა. ამ შემთხვევაში გამოიყენება საქმის წარმოების განახლების თაობაზე ზოგადი დებულებები 1991 წლის ზოგადი ადმინისტრაციული საპროცესო კანონის შესაბამისად.²⁹

პოლონეთი

პოლონურ კანონმდებლობაში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად სისხლის სამართლის საქმის ხელახალ გადასინჯვას კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი აქვს. პოლონეთის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის მოთხოვნის უფლება აქვს არა მხოლოდ განმცხადებელს, ვის საქმეზეც

²⁹ინფორმაცია

ხელმისაწვდომია

ბმულზე

<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168066b316> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

არის გამოტანილი ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, არამედ ასევე სხვა პირებს, რომელთა საქმეშიც მსგავსი გარემოებებია (*de facto erga omnes* ეფექტი).

სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეიძლება ხელახლა დაიწყოს განმცხადებლის, ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის წევრის მოთხოვნის საფუძველზე. პროცედურა არ არის შეზღუდული რაიმე ვადით. საქმის წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღება ავტომატურად, არამედ ეფუძნება კონკრეტული საქმის გარემოებების შეფასებას.

პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა ორი სახის დარღვევაზე, როდესაც გამართლებულია საქმის წარმოების განახლება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე:

- საპროცესო ხარვეზები, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა შიდა სამართალწარმოებაში მიღებული საბოლოო განაჩენის შინაარსზე
- არსებითი/შინაარსობრივი ხარვეზები, ე.ი. როდესაც კონვენციის დარღვევის თაობაზე ევროსასამართლოს დასკვნები გამომდინარეობს შიდა სამართალწარმოებისას დაშვებული შინაარსობრივი ხარვეზებიდან

ამის საპირისპიროდ, პოლონეთის უზენაესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის საფუძველად არ მიიჩნევს ისეთ ხარვეზებს, რომელსაც პირდაპირი კავშირი არ აქვს და გავლენა არ მოუხდენია საბოლოო განაჩენის შინაარსზე. ასეთი საკითხებია - სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურება ან ხარვეზები პრევენციული ზომების გამოყენებისას (მაგალითად, წინასწარი პატიმრობა).

2014 წლის 26 ივნისის განმარტებით რეზოლუციაში (Ref. No. I KZP 14/14), პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების აუცილებლობა საერთაშორისო ორგანოს გადაწყვეტილების გამო“ შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ იმ განმცხადებლის მიმართ, რომლის სასარგებლოდაც მიიღო ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება, ასევე თანაბრადღებული და სხვა სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებული პირების მიმართაც, იმ პირობით, რომ ადგილი აქვს კონვენციის იმავე სახის დარღვევას (ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ერთობლიობა). ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ პოლონეთთან მიმართებით გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამასთან, საკითხი, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის იმავე სახის დარღვევას, უნდა განიმარტოს ვიწროდ საქმის წარმოების განახლების განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით. არსობრივად, სხვა სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობა ვრცელდება იმ სიტუაციებზე, როდესაც კონვენციის დარღვევა იმდენად მსგავსია (იურიდიული და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობის კუთხით), რომ მაღალი ალბათობით, მიმართვის შემთხვევაში, ევროსასამართლო მის საქმეზეც მიიღებდა გადაწყვეტილებას კონვენციის დარღვევის თაობაზე.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების საქმის გადახედვის საკითხი პოლონური კანონმდებლობით

დარეგულირებული არ არის. მიუხედავად ამისა, არსებობს სამოქალაქო საქმის წარმატებულად განახლების პრეცედენტი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ მიიღო განმარტებითი რეზოლუცია, რომლის თანახმად, ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას. თუმცა, არ გამოირიცხავს, რომ აუცილებელ შემთხვევებში გამოყენებული იქნეს სხვა საშუალებები, მათი აღსრულების უზრუნველსაყოფად *restitutio in integrum* პრინციპის დაცვით. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს, მათი გადასინჯვა შესაძლებელია ეროვნულ დონეზე ევროსასამართლოს როგორც გადაწყვეტილების ასევე განჩინების საფუძველზე.³⁰ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების განმცხადებლისათვის ჩაბარებიდან 3 თვის ვადაში. როგორც წესი, ადმინისტრაციული საქმის გადასინჯვის საფუძველი არის ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით/განჩინებით დადგენილი ისეთი პროცესუალური/სამართლებრივი დარღვევა, რომელმაც გავლენა მოახდინა ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგზე და დაირღვა თანაბარი მოპყრობის პრინციპი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 145b მუხლი).

დანია

დანის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილების საფუძველზე საქმეთა გადასინჯვისათვის სპეციალურ წესებს. თუმცა, სასამართლო პრაქტიკით, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში არის სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის მაგალითები.

დანის მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ აქტის 977-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს შეუძლია მოითხოვოს სისხლის სამართლის პროცესის განახლება შემდეგ პირობებში თუ:

- 1) ჩნდება ახალი ინფორმაცია (nye oplysninger), რომელსაც, თავდაპირველი პროცესის დროს ხელმისაწვდომობის შემთხვევაში შეიძლება გამოეწვია გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ან უფრო ღმობიერი სასჯელი/საწყისი;
- 2) თავდაპირველი საქმის წარმოების დროს მიცემულ იქნა ყალბი ჩვენება ან გამოყენებულ იქნა თაღლითური დოკუმენტები, ან ჩადენილ იქნა სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავდა გავლენის მოხდენას საქმეზე ან მის გადაწყვეტაზე, მსჯავრდებულის ან სხვა პირის მიერ, რომელიც თავისი სამსახურის ან საჯარო ფუნქციის წყალობით

³⁰ იხ. 2002 აქტი ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ, მუხლი 270, § 3. იხ. ასევე
<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168066b42d> (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

მონაწილეობდა საქმის განხილვაში და რამაც შესაძლოა გავლენა იქონია საბოლოო განაჩენზე;

- 3) თუ განსაკუთრებული გარემოებები (særlige omstændigheder) მიუთითებს, რომ მტკიცებულება არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული.

ამ პირობების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნა უნდა წარედგინოს სპეციალურ სასამართლოს (Den Særlige Klageret).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ გახმაურებულ საქმეზე იერსილდი დანიის წინააღმდეგ განაპირობა საქმის წარმოების განახლება, რადგანაც იგი მიჩნეულ იქნა 977 (1) (3) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ „განსაკუთრებულ გარემოებებად“. მომჩივანი ჟურნალისტი გასამართლებული და მსჯავრდებული იქნა დანიის სასამართლოების მიერ რასისტული გამონათქვამების გავრცელებაში დახმარების ბრალდებით. კერძოდ, მის გადაცემაში სამი რესპონდენტის, რომლებიც თავს რასისტული დაჯგუფების წევრებად მიიჩნევდნენ, რასისტული გამონათქვამების გამო. ევროპულმა სასამართლომ დადგინა, რომ ჟურნალისტის სისხლის სამართლის წესით მსჯავრდება არღვევდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას.³¹

განახლებული წარმოების შედეგად, 1996 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ დანიის სააპელაციო სასამართლომ გაამართლა განმცხადებელი სისხლის სამართლის ბრალდებაში და უბრძანა სახელმწიფოს, გადაეხადა მთელი მისი ხარჯები ძველი და ახალი სამართალწარმოების ფარგლებში.

სამოქალაქო სამართალწარმოების შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, მისი შინაარსი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ხელახლა იხსნება მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ აქტის 399-ე მუხლის შესაბამისად. მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ აქტის 399 (1) ნაწილით უზენაეს სასამართლოს შეუძლია განახლოს საქმის წარმოება, თუ:

1. არსებობს უპირატესი შანსი, რომ განმცხადებლის ბრალის გარეშე, საქმეს მიეცა არასწორი განმარტება და რომ საქმის წარმოების განახლების შემდეგ შედეგი არსებითად განსხვავებული იქნება.
2. აშკარაა, რომ განმცხადებლისთვის ეს ერთადერთი გზაა, თავიდან აიცილოს მნიშვნელოვანი ზიანი ან აუნაზღაურდეს მნიშვნელოვანი ზიანი.
3. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უმჯობესია საქმის გადასინჯვა.

დანიის წინააღმდეგ ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი არც ერთი გადაწყვეტილების შემთხვევაში არ დამდგარა სამოქალაქო საქმის გახსნის აუცილებლობა.³²

³¹ იხ. CASE OF JERSILD v. DENMARK საჩივარი №15890/89, 23 სექტემბერი 1994, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-57891%22%5D%7D> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

³² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ბმულზე <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168066b41c> (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

V. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების პროცედურა საქართველოში და მისი ეფექტიანობის შეფასება

1. ზოგადი მონაცემები და ტენდენციები

ევროპული კონვენციის ძალაში შესვლიდან (1999 წლის მაისი) 2019 წლის დეკემბრამდე პერიოდში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს აღსასრულებლად გადაეცა საქართველოს წინააღმდეგ ევროსასამართლოს მიერ მიღებული 127 გადაწყვეტილება და განჩინება. მათგან, მინისტრთა კომიტეტის საბოლოო რეზოლუციით დაიხურა/აღსრულებულად ჩაითვა 81 საქმე, ხოლო 46 საქმის აღსრულებაზე³³ ზედამხედველობა მიმდინარეობს. იმის გათვალისწინებით, რომ მინისტრთა კომიტეტი არ ზედამხედველობს საქართველოს მიერ აღსასრულებელ ყველა საქმეს (მაგალითად, როგორებიცაა, ევროსასამართლოს მიერ სახელმწიფოს ცალმხრივი დეკლარაციით დახურული საქმეები), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მთავრობის მიერ აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობა მეტია და 55-ს შეადგენს - აქედან 30 გადაწყვეტილება და 25 განჩინება.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის 17 დეკემბრის მონაცემებით, სამართლიანი დაკმაყოფილების სახით საქართველოს მთავრობისათვის დაკისრებული კომპენსაციის ჯამური ოდენობა 1 040 695 ევროა.³⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების (საქმეებზე, რომლებზეც დადგინდა ან არ დადგინდა ადამიანის უფლებათა დარღვევა) შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები არასრულია (ერთიანი სტატისტიკური მონაცემები 2017 წლის მდგომარეობითაა მოცემული, საქმეთა ჩამონათვალს არ ახლავს გადაწყვეტილების მიღების თარიღი ან/და საჩივრის ნომერი, მთელი რიგი გადაწყვეტილებები/განჩინებები არ არის ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე)³⁵.

³³ იხ. მონაცემები ქვეყნის შესახებ, საქართველო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტი, 2019 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/168070974a>, (ბოლოს ნანახია 22.01.2020). ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 63 საქმეზე აღსრულება დაიხურა 2013 წლის შემდგომ პერიოდში.

³⁴ იქვე.

³⁵ იხ. დასრულებული საქმეები ევროპულ სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხელმისაწვდომია <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/154>, (ბოლოს ნანახია 21.01.2020); იხ. ასევე,

ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ განხილულ საქმეებში მინისტრთა კომიტეტის მიერ იდენტიფიცირებულია ოთხი საკითხი, რომელიც ქვეყანაში არსებულ სისტემურ პრობლემებს გამოკვეთს და რომელთა მიმართ აღსრულება ე.წ. გაძლიერებული პროცედურით მიმდინარეობს. ამ დარღვევების გამეორების პრევენციისთვის საჭიროა კომპლექსური მიდგომა, როგორც კანონმდებლობის, ასევე პრაქტიკის გაუმჯობესების კუთხით. ეს საკითხები მინისტრთა კომიტეტის მიერ 4 ჯგუფად ერთიანდება³⁶:

1. **ე.წ. „ცინცაბადის (ყოფილი ღარიბაშვილის) ჯგუფის“ საქმეები**, რომლებიც შეეხება სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალვის დარღვევას სამართალდამცავი და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ და ამ დარღვევების არაეფექტურ გამოძიებას;³⁷
2. **წინასწარი პატიმრობის უკანონო და უფლების უკანონო შეზღუდვა**. კერძოდ, სათანადო დასაბუთების გარეშე განგრძობადი წინასწარი პატიმრობა და პატიმრობის ზეწოლის მეთოდად გამოყენება ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც არ იყო კავშირში დაკავებული პირის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან³⁸;
3. **რელიგიის თავისუფლების დარღვევა**. კერძოდ, სახელმწიფომ ვერ დაიცვა რელიგიური გაერთიანების წევრები (იეჰოვას მოწმეები) მართლმადიდებელ ქრისტიანთა რადიკალური ჯგუფის წევრების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფისაგან და არ გამოიძია დარღვევები ეფექტურად³⁹;
4. **შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევა**. კერძოდ, მშვიდობიანი შეკრების დროს, სექსუალურ უმცირესობათა ჯგუფის წევრები ვერ დაიცვა პოლიციამ ჰომოფობიური თავდასხმებისაგან და ეფექტურად არ გამოიძია არასათანადო მოპყრობის ფაქტები⁴⁰.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველო არ შედის ევროსაბჭოს იმ წევრ ქვეყანათა რიცხვში, რომელთაც აქვთ აღსრულებელ (იტალია, თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი, საბერძნეთი, რუსეთი, პოლონეთი, ბულგარეთი) ან/და აღსრულების გაძლიერებული

ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური სისტემა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხელმისაწვდომია ბმულზე <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/137>, (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

³⁶ იხ. მონაცემების ქვეყნის შესახებ, საქართველო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტი, 2019 წლის დეკემბერი. ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/168070974a> (ბოლოს ნანახია, 22.01.2020).

³⁷ იხ. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 35403/06, გადაწყვეტილება გამოტანილია 15/02/2015; ჯგუფში შედის 19 სხვა საქმე, რომელიც კონვენციით დაცული უფლებების მსგავს დარღვევებს შეეხება. ხელმისაწვდომია <https://hudoc.exec.coe.int/eng#%7B%22EXECIdentifier%22%3A%22004-5830%22%7D>, (ბოლოს ნანახია 21.01.2020).


³⁸ იხ. მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 72508/13, გადაწყვეტილება 28/11/2017.

³⁹ იხ. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №71156/01, გადაწყვეტილება 03/05/2007.

⁴⁰ იხ. იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი №73235/12, გადაწყვეტილება 12/05/2015.

ზედამხედველობის ქვეშ (მოლდოვა, აზერბაიჯანი და სერბეთი) მყოფ გადაწყვეტილებათა მაღალი მაჩვენებელი⁴¹.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების მიერ საქართველოსთან მიმართებაში სულ განხილულია 6 საქმე, რომელთაგან სხვადასხვა კონვენციებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევა 4 საქმეზე დადგინდა⁴²:



2019 წლის 74-ე სესიაზე (რომელიც 21 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე მიმდინარეობდა) გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა საკმარისად მიიჩნია საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები (რეკომენდაციების შესრულება, კომპენსაციის გადახდა მომჩივანთათვის) და მიიღო გადაწყვეტილება ამ საქმის აღსრულების პროცედურის დახურვის თაობაზე.⁴³

გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, 5-მა მომჩივანმა ჯამში **83 389 ათასი ლარის კომპენსაცია მიიღო** საქართველოს ეროვნული სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის შედეგად. ⁴⁴

⁴¹ იხ. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია, ანგარიში, საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელი, სექტემბერი, 2015, ხელმისაწვდომია <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=22005&lang=en> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

⁴² ინფორმაცია არასრულყოფილი სახით არის საჯაროდ ხელმისაწვდომი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე, იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური სისტემა <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/137>, (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

⁴³ იხ. X და Y საქართველოს წინააღმდეგ, კომუნიკაცია 24/2009, ხელმისაწვდომია https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=INT/CEDAW/SED/74/30148&Lang=en (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

⁴⁴ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი აღსრულების ანგარიშები საქართველოს მიერ გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფოს სახელით, პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებათა/განჩინებათა აღსრულების ზედამხედველობის პროცესში იუსტიციის სამინისტრო შეიმუშავებს ცალკეული საქმეების აღსრულების სამოქმედო გეგმებს, შესრულების შესახებ ანგარიშებს და დადგენილი პერიოდულობით წარუდგენს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ასევე გაეროს შესაბამის კომიტეტებს.⁴⁵

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მინისტრთა კომიტეტისთვის გაგზავნილი სამოქმედო გეგმები/აღსრულების ანგარიშები აჩვენებს, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის დროს და დადგენილი პერიოდულობით, როგორც წესი, სისტემატიურად წარადგენს განახლებულ ინფორმაციას აღსრულების პროცესის მიმდინარეობის შესახებ⁴⁶.

მსგავსი ვითარებაა სასამართლოს მიერ მომჩივნების სასარგებლოდ დაკისრებული კომპენსაციების გადახდის თვალსაზრისითაც, კომპენსაციების გადახდა ხდება დროულად და სრული ოდენობით⁴⁷. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არის ქართულ

გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე; 2016 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147066?fbclid=IwAR1X2V2RaJoThxz3aDFPz1ylgtHu2WP-D3zsGlsHIUd7K6MYfa6HmYdM29Q>, (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

2017 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179489?fbclid=IwAR0p2dhKUaTJ4Og32evXblyhCOU8CJShAmj3yK1Aq9h2heGg54rmdJiOr4Y> ნანახია 10.01.2020.

2018 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/16877?> (ბოლოს ნანახია 21.01.2020).

⁴⁵ იხ. საქართველოს მთავრობის №389 დადგენილება, 2013 წლის 30 დეკემბერი, მუხლი 3, პარაგრაფი 1(ი). იხ. ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის №66 ბრძანება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 2008 წლის 17 მარტი.

⁴⁶ აღსანიშნავია, რომ წევრი სახელმწიფოები, როგორც წესი, დადგენილ ვადებში წარადგენენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების სამოქმედო გეგმებსა და ანგარიშებს, თუმცა, დოკუმენტების ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, ბევრი მათგანი არ არის დეტალური, ან მეტწილად ევროსასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკისგან შედგება, იხ. პარლამენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ალისა დონალდი და ფილიპ ლიჩი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. გვ. 39.

⁴⁷ იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016, 2017 და 2018 წლის ანგარიშები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპენსაციის დადგენილ ვადებში გადახდის მაჩვენებელი, როგორც წესი, მაღალია ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს შორის და მაგ. 2009 წლის მდგომარეობით 82% შეადგენდა, მაშინ როცა ისეთი ზოგადი ღონისძიებების გატარების მაჩვენებელი, როგორიცაა საკანონმდებლო ცვლილებები და ხელახალი გამოძიების ჩატარება ან საქმეთა გადასინჯვა, იმავე პერიოდში,

ენაზე ხელმისაწვდომი, ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2018 და 2019 წლებში გამოტანილი გადაწყვეტილებები და 2017 წელს გამოტანილი ორი გადაწყვეტილება⁴⁸.

მიუხედავად ძირითადი პოზიტიური სურათისა, იუსტიციის სამინისტროს, როგორც აღსრულების პროცესის შიდა მაკოორდინირებელი უწყების მუშაობაში რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა, რომლის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს როგორც გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებას, ასევე სამომავლო დარღვევების პრევენციას.

ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულება ცალკეულ შემთხვევებში საჭიროებს იმგვარ ცვლილებებს, რომლებიც ამ განჩინებებში/გადაწყვეტილებებში დადგენილი დარღვევ(ებ)ის გამომწვევი მიზეზია და მათი გამოსწორების გარეშე იდენტური დარღვევ(ებ)ის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება. ხშირ შემთხვევაში, ასეთი დარღვევის გამომწვევი მიზეზი საკანონმდებლო რეგულაციებია და იუსტიციის სამინისტროს ვალდებულება ამ საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების ინიცირებაა. ასეთი შემთხვევის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვის პროცესში არასაკმარისი საპროცესო გარანტიების არსებობა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება 2009 წლის 15 ივნისის აქციის საქმეებში მე-6 მუხლის დარღვევას („გიორგი ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ საჩივარი №312/10, გადაწყვეტილება 15/09/2015). მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტრო ამ საქმესთან დაკავშირებული აღსრულების პროცესში გასატარებელ ზოგად ღონისძიებებში არ მოიაზრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებას, რაც ხელს შეუწყობდა „ბექაური და სხვების საქმეში“ დადგენილი დარღვევების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას.⁴⁹

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების ფარგლებში საკითხებისადმი ამგვარი მიდგომა ვერ ასრულებს სამომავლო დარღვევების თავიდან აცილების კუთხით პრევენციის ფუნქციას. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ცხადია, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პრობლემებზე და ვერ გასცდება საქმის შინაარსს; შიდასახელმწიფოებრივი უწყებებისათვის

მხოლოდ 38% და 31% იყო; იხ. პარლამენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ალისა დონალდი და ფილიპ ლიჩი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. გვ. 71.

⁴⁸ იხ. დასრულებული გადაწყვეტილებები ევროპულ სასამართლოში, გადაწყვეტილებები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/155> , (ბოლოს ნანახია 22.01.2020). იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2002) 13 წევრი სახელმწიფოებისათვის, ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოქვეყნებისა და გავრცელების შესახებ, 18.12.2002. ხელმისაწვდომია https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=090000168063ca51 , (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

⁴⁹ ამ საკითხზე დამატებით იხ. “ალტერნატიული ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ,” კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ივნისი 2019 წ. გვ. 23-31. ხელმისაწვდომია <https://article42.ge/media/1001447/2019/07/09/42f7933b926d7298fecdb5a7db5e6aed.pdf> , (ბოლოს ნანახია 22.10.2020).

კი გაცილებით მეტად აღქმადია თუ რა სისტემური პრობლემაა კონკრეტული დარღვევის გამომწვევი მიზეზი. შესაბამისად, მათ მიერ დაგეგმილი ზოგადი ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში სახელმწიფო ფართო მიხედულობით სარგებლობს, უნდა პასუხობდეს პრობლემის სერიოზულობას და სისტემურ ხასიათს. მით უფრო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ეროვნული სასამართლოების მიერ განხილვის დროს კვლავ იდენტურია ის ხარვეზები და დარღვევები, რამაც გამოიწვია დარღვევა საქმეში ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.⁵⁰ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ ისეთი ზოგადი ხასიათის ზომები, რომელიც მომავალში იდენტური დარღვევების აღმოფხვრას შეუწყობს ხელს⁵¹.

გარდა ამისა, ცალკეულ საქმეებზე, ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში მისაღები ზომები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაშიც არ არის წარდგენილი იუსტიციის სამინისტროს მიერ. ასეთია, გადაწყვეტილება საქმეზე „ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“⁵². იუსტიციის სამინისტრო საქართველოს პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში, ისევე როგორც მინისტრთა კომიტეტისათვის 2019 წლის სექტემბერში გაგზავნილ გეგმაში მიუთითებს, რომ ანალიზდება მოქმედი კანონმდებლობა და საჭიროების შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტთან კონსულტაციით დაიგეგმება სათანადო ცვლილებები.⁵³

იუსტიციის სამინისტროს, როგორც აღსრულების პროცესის მაკოორდინირებელი უწყების როლი აღსრულების პროცესში სასურველია იყოს პროაქტიული გადაწყვეტილებაში გამოკვეთილ დარღვევებთან მიმართებით და მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ზოგადი ღონისძიებების გატარებას, რომელიც იმავე ხასიათის დარღვევების გამეორების პრევენციას უზრუნველყოფს. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ზოგადი ღონისძიებები არის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მომზადება, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და

⁵⁰ იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი 20 ივნისს დაკავებულთა საქმეებს სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს, 23 ივნისი, 2019, იხილეთ ბმულზე <https://emc.org.ge/ka/products/emc-20-ivniss-dakavebulta-sakmeeps-saapelatsio-sasamartloshi-asachivrebs> , (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

⁵¹ როდესაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილება სისტემურ პრობლემას შეეხება, მინისტრთა კომიტეტი მოითხოვს, რომ ზოგადი ღონისძიებები იყოს ეფექტური. მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოასწორებს სასამართლოს წინაშე მიმდინარე საქმეებში არსებულ დარღვევებს, ან უფრო სრულყოფილი რეფორმების გატარებით გამორიცხავს მსგავსი შინაარსის დარღვევებს მომავალში. იხ. მინისტრთა კომიტეტის მე-7 წლიური ანგარიში ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის შესახებ, 2013 წ. პარაგრაფი 13. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680592ac9> (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

⁵² იხ. საჩივარი № 31536/07, 28/06/2018, გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 2018 წლის 29 სექტემბერს.

⁵³ იხ. საქართველოს მთავრობის გაერთიანებული სამოქმედო გეგმა საქმეებზე ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 17716/08 და ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 31536/07, პარაგრაფები. 13 და 20, სექტემბერი 2019. იხ. ასევე, იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების თაობაზე, გვ. 93-95, ხელმისაწვდომია <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/16876?> , (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

აქტორებთან კოორდინაციით, როგორცაა სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოება, სწორედ იუსტიციის სამინისტროს ვალდებულებაა. ევროპის საბჭო მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებში გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს/პირებს ჰქონდეთ როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მჭიდრო თანამშრომლობა სასამართლო ორგანოებთან და აღსრულების პროცესში ჩართონ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები, ომბუდსმენი და სამოქალაქო საზოგადოება.⁵⁴

აღსანიშნავია ასევე იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ სამოქმედო გეგმაზე/შესრულების ანგარიშზე მუშაობის პროცესში მომჩივნის/მისი წარმომადგენლის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საკითხი. არსებული მდგომარეობით, განმცხადებლის ან/და მისი წარმომადგენლის ჩართვა სამოქმედო გეგმის მომზადების ეტაპზე არ არის იუსტიციის სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საქმეებთან მიმართებით, რომლებშიც აღსრულების პროცესი მოიცავს ხელახალი ეფექტური გამოძიებების ჩატარებას ან/და საკანონმდებლო ცვლილებებს და მნიშვნელოვანია ანგარიშის/სამოქმედო გეგმის მომზადების ეტაპზე გათვალისწინებული იყოს მხარის ალტერნატიული ხედვა.

სამოქალაქო სექტორის, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის ჩართვა ასევე არ წარმოადგენს დამკვიდრებულ პრაქტიკას ზოგად ღონისძიებებთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმების შემუშავების დროს. თემატურად დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებისა და ხედვების გათვალისწინება ხელს შეუწყობდა აღსრულების პროცესის ეფექტიანად დაგეგმვას. თავიდან იქნებოდა აცილებული მინისტრთა კომიტეტთან მრავალჯერადი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კომუნიკაცია სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან.

მნიშვნელოვანია, ასევე იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის აღსრულების წლიური ანგარიშების, ასევე მინისტრთა კომიტეტისათვის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების წარდგენის დროს ინფორმაციის მოძიება საქმეთა შიდა ხელახალი გადასინჯვის შედეგების შესახებ. ყოფილ მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების აღსრულების მონიტორინგის პროცესმა გამოავლინა გარკვეული ნაკლოვანება.⁵⁵

⁵⁴ იხ. ევროპის საბჭო, მრგვალი მაგიდა: ეფექტური შიდა მექანიზმი ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების სწრაფი აღსრულებისათვის, 15-16 დეკემბერი 2011, თავმჯდომარის შემაჯამებელი მოხსენება, გვ. 2. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090001680592416> (ბოლოს ნანახია 22.01.2020).

⁵⁵ ევროპულმა სასამართლო საქმეებში, სტურუა საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №45729/05, 28/03/2017) და გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №13723/06, 12/10/2017) დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევით, მომჩივანთა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეები განიხილა მიკერძოებულმა სადისციპლინო ორგანომ, რომლის გადაწყვეტილებასაც მოჰყვა მომჩივან მოსამართლეთა სასამართლოს სისტემიდან გათავისუფლება. იხ. ალტერნატიული ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების შესახებ, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, გვ. 7-22, ივნისი 2019 წ., ხელმისაწვდომია <https://article42.ge/media/1001447/2019/07/09/42f7933b926d7298fecdb5a7db5e6aed.pdf> (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის 2019 წელს წარდგენილი ანგარიში არ მოიცავდა ინფორმაციას, როგორ წარიმართა და რა შედეგებით დასრულდა ამ საქმეების ხელახალი გადასინჯვის პროცესი ეროვნულ სასამართლოებში. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყოფილმა მოსამართლეებმა (ბატონმა გაბაიძემ და ბატონმა სტურუამ) მოითხოვეს მათი საქმის ხელახალი განხილვა სადისციპლინო კოლეგიის და ეროვნული სასამართლოების მიერ, ევროპული სასამართლოს მიერ მათ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში ამ ინფორმაციას არ შეიცავს.⁵⁶ შესაბამისად, საკითხზე განხილვა და მსჯელობა არ შემდგარა არც საქართველოს საპარლამენტო კომიტეტში ანგარიშის მოსმენების დროს, რამაც, როგორც იუსტიციის სამინისტროს, ასევე საქართველოს პარლამენტის ყურადღების მიღმა დატოვა ამ საქმეთა აღსრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2015 წლის 27 მარტის ბრიუსელის დეკლარაცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ეროვნულ დონეზე აქტიურად ითანამშრომლონ ეროვნულ პარლამენტებთან, სასამართლო ხელისუფლებასთან, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა ეფექტური აღსრულება. მათ შორის, დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ მთავრობის მიერ, ამა თუ იმ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით მომზადებული სამოქმედო გეგმა და ანგარიში უნდა იყოს ხელმისაწვდომი მშობლიურ ენაზე, იმისათვის, რომ მის განხილვაში, ადგილობრივ დონეზე ჩაერთოს ყველა შესაბამისი აქტორი⁵⁷.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ, სახელმწიფოს მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების ეროვნულ დონეზე განხილვასთან დაკავშირებით, საინტერესოა დიდი ბრიტანეთის გამოცდილება, სადაც ამ დოკუმენტების გაზიარება ხდება პარლამენტისათვის, მათი მინისტრთა კომიტეტისათვის წარდგენამდე. ამგვარი მიდგომა წახალისებულია ექსპერტთა მიერ, რომელთა აზრით, აღსრულების სამოქმედო გეგმისა და ანგარიშის ეროვნულ დონეზე წინასწარი განხილვა მხოლოდ გააძლიერებს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესს⁵⁸.

რაც შეეხება გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს, უნდა აღინიშნოს პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლემები.

პირველ რიგში, სირთულეს წარმოადგენს აღსრულებაში მყოფი საქმეების აღსრულების მონიტორინგი ორი გარემოების გამო: 1. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თავად გაეროს შესაბამისი კომიტეტები არ ასაჯაროებენ ინფორმაციას კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ იხ. ბრიუსელის დეკლარაცია, 2015 წლის 27 მარტი, პარაგრაფი ბ,(2), ხელმისაწვდომია https://www.echr.coe.int/Documents/Brussels_Declaration_ENG.pdf (ბოლოს ნანახია, 23.01.2020).

⁵⁸ იხ. პარლამენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ალისა დონალდი და ფილიპ ლიჩი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. გვ. 39-40.

შესახებ. 2. იუსტიციის სამინისტრო არ ასაჯაროებს ამ ინფორმაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პერსონალური ინფორმაციის დაცვის მოტივით; ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია მხოლოდ ორი საქმის დეტალებს მოიცავს, მაშინ როცა გაეროს სხვადასხვა კომიტეტებს საქართველოსთან მიმართებით ჯამში 6 საქმე აქვთ განხილული⁵⁹.

აღსანიშნავია ისიც, რომ იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის გამოქვეყნებული უწყების მიერ საქართველოს პარლამენტისადმი წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშები ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების თაობაზე.

3. საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო მექანიზმი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში 2016 წელს შეტანილი ცვლილებებით, განისაზღვრა პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოების (შემდგომში საერთაშორისო მექანიზმების) გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. კერძოდ, ეს საკითხები რეგულირდება პარლამენტის რეგლამენტის 174-ე და 175-ე მუხლებით.

საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი გულისხმობს საქართველოს მთავრობის (იუსტიციის სამინისტროს) მიერ პარლამენტისთვის ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 აპრილისა, საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის თაობაზე ანგარიშების წარდგენას და განხილვას შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების მიერ:

მუხლი 175. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობა

1. საქართველოს მთავრობა პარლამენტს წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს 1 აპრილისა წარუდგენს:

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშს იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებზედაც წინა წელს მიღებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საბოლოო რეზოლუცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების სამოქმედო გეგმას მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით, აგრეთვე ამ საქმეების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და შუალედურ რეზოლუციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. პარლამენტი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ დოკუმენტებს განიხილავს რეგლამენტის 176-ე მუხლის მე-2–მე-5 და მე-8–მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით.

⁵⁹ იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური სისტემა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხელმისაწვდომია <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/137> , (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

3. წამყვანი კომიტეტი ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების საკომიტეტო განხილვისთვის მომზადების მიზნით ეცნობა დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებსა და შეფასებებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.
4. ამ მუხლში მითითებული დოკუმენტები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განიხილება წამყვანი კომიტეტის ან პარლამენტის ბიუროს (ბიუროს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის) მოთხოვნის საფუძველზე.
5. პარლამენტი ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტების პლენარულ სხდომაზე განხილვის შემთხვევაში იღებს დადგენილებას.

2016 წლიდან დღემდე პარლამენტმა მოისმინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 3 წლის (2016, 2017 და 2018 წწ.) ანგარიშები⁶⁰, როგორც ევროსასამართლოს, ასევე გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე. ანგარიშების პირველი განხილვა შედგა 2017 წლის გაზაფხულზე, რის შემდეგაც, პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა (როგორც წამყვანმა კომიტეტმა) შეიმუშავა დასკვნები და რეკომენდაციები ანგარიშებში ასახული ზოგიერთი საქმის აღსრულებასთან დაკავშირებით.⁶¹

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში მსგავსი უფლებამოსილების გაწერა უდავოდ წინადადებული ნაბიჯია, თუმცა, ამ ახალი მექანიზმის ფუნქციონირება დასახვეწია

⁶⁰ იხ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულზე https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147066?fbclid=IwAR0udEb4-tUHpFxCfG9YLVJzBgWyD71LbpfKaGGbQ_0YnieB9jehk9ScaSQ (ბოლოს ნანახია 23.01.2020);

ასევე, მთავრობის მიერ დამატებით წარდგენილი ანგარიში 2016 წლის საანგარიშო პერიოდზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე. ხელმისაწვდომია ბმულზე https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147998?fbclid=IwAR3gffjNF2W05An0moioyqcm18yioTVbjvYg0Msmg8QJnymgOhX-cf_c_Is (ბოლოს ნანახია 23.01.2020);

იხ. ასევე, 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები). ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179494> (ბოლოს ნანახია 23.01.2020);

იხ. ასევე, 2017 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (დასრულებული საქმეები). ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/179493> (ბოლოს ნანახია 23.01.2020);

იხ. ასევე, 2018 წლის ანგარიშები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მიმდინარე და დასრულებული) და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ. ხელმისაწვდომია ბმულებზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/17728> და <https://info.parliament.ge/#law-drafting/17729> (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁶¹ იხ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიშზე. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/156711> (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

არაერთი მიმართულებით. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტი ნათლად არ ადგენს თუ რომელი კომიტეტის უფლებამოსილებაა მსგავსი ზედამხედველობის განხორციელება.

საქართველოს მთავრობის ანგარიშების მოსმენა და განხილვა ხდება წამყვანი კომიტეტის მიერ, რომელსაც რეგლამენტის თანახმად, ბიურო განსაზღვრავს. 2017 წლიდან წამყვან კომიტეტად ზოგიერთ შემთხვევაში განისაზღვრა იურიდიული კომიტეტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. სასურველია რეგლამენტი აკონკრეტებდეს წამყვან კომიტეტს, რათა კომიტეტი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენით და მთელი წლის განმავლობაში კომიტეტის საქმიანობა თვალყურს ადევნებდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების სრულყოფილად აღსრულების საკითხს. აღნიშნული კი გულისხმობს, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას, ასევე აღმასრულებელი უწყებების საქმიანობის შეფასებას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის მიზნით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის მოსმენა პირველად, 2017 წელს იურიდიული კომიტეტის დახურულ სხდომაზე მოხდა, რაც ცალსახად არასწორი მიდგომა იყო და მისასალმებელია, რომ ეს პრაქტიკა შეიცვალა. შემდეგ წლებში ანგარიშების კომიტეტებზე მოსმენა იყო ღია და ხდებოდა სხდომების ტრანსლაცია, რამაც საშუალება მისცათ სამოქალაქო სექტორისა და დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს, მომჩივნებს და ფართო საზოგადოებას მოესმინათ ანგარიშების განხილვა და მიეღოთ მონაწილეობა დისკუსიაში.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, ასევე, ითვალისწინებს საკომიტეტო განხილვებისათვის მომზადების ეტაპზე, დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებისა და შეფასებების წარდგენის შესაძლებლობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ:

მუხლი 175. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ზედამხედველობა

3. წამყვანი კომიტეტი ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხების საკომიტეტო განხილვისთვის მომზადების მიზნით ეცნობა დაინტერესებული პირის/პირების მოსაზრებებსა და შეფასებებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ.

2019 წელს საქართველოს პარლამეტს პირველად წარედგინა არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული ანგარიშები ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შესაძლებლობა სამოქალაქო საზოგადოებას პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანისთანავე (2016 წლიდან) ჰქონდა ეს უფლებამოსილება 2019 წლამდე არ ყოფილა რეალიზებული.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რიგით მესამე - 2018 წლის აღსრულების ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, ასევე გაეროს

სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ⁶² - საქართველოს პარლამენტს 2019 წლის 1 აპრილისთვის წარუდგინა, ხოლო ანგარიშის განხილვა მოხდა ივლისში.

იუსტიციის სამინისტროს ანგარიშისა და ალტერნატიული ანგარიშების საპარლამენტო განხილვის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ხარვეზი, რომლის სამომავლოდ გათვალისწინება მნიშვნელოვანია მექანიზმის სრულყოფისთვის.

სასურველია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის განხილვას ესწრებოდეს ყველა ის პასუხისმგებელი უწყება, რომელსაც შესაძლოა შეეხოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ინდივიდუალური თუ ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულება. მათ შორის მოვიაზრებთ სასამართლო ხელისუფლების რგოლსაც, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, ვინაიდან საქმეთა ხელახალი განხილვა/გადასინჯვა გადაწყვეტილებათა აღსრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. რაც შეეხება სხვა უწყებებს, მნიშვნელოვანია რომ პარლამენტის წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა საკომიტეტო სხდომაზე განხილვის დროს დამაზუსტებელი შეკითხვებით მიმართონ შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას (იქნება ეს საქართველოს გენერალური პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო თუ სხვა) და მათგან მოისმინონ ხედვა ან/და ცვლილებები, ამა თუ იმ პრობლემურ საკითხთან/პრაქტიკასთან დაკავშირებით.

იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ალტერნატიული ანგარიშები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წლის ივლისში განიხილა არა ერთდროულად, არამედ სხვადასხვა სხდომაზე. ალტერნატიული ანგარიშების განხილვისას არ იყო უზრუნველყოფილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობა, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშების მოსმენის შემდგომ დისკუსიის გამართვისათვის.

მნიშვნელოვანია, მთავრობისა და ალტერნატიული ანგარიშების მოსმენა კომიტეტის ერთსა და იმავე სხდომაზე მოხდეს, რაც შინაარსობრივი დისკუსიის წარმართვას შეუწყობს ხელს. ამასთან, საქართველოს პარლამენტის წევრებს ექნებათ საშუალება წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით მოისმინონ სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთა/პირთა პოზიციები.

მნიშვნელოვანია ასევე რომ პარლამენტთან ერთად, ალტერნატიული ანგარიშების იუსტიციის სამინისტროსათვის წარდგენის პრაქტიკა დამკვიდრდეს, რათა უწყება იცნობდეს სამოქალაქო სექტორის მხრიდან ხაზგასმულ პრობლემებს და მომზადებული შეხვედრის მათ, საპარლამენტო განხილვის ეტაპზე.

საპარლამენტო მექანიზმის ეფექტურობა, მეტწილად დამოკიდებულია საქართველოს პარლამენტის წევრების აქტიურ ჩართულობასა და დაინტერესებაზე. ამ მხრივ, ანგარიშების მოსმენის პროცესი 2019 წელს შესამჩნევად ნაკლოვანი იყო. ალტერნატიული

⁶² ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე, ბმულებზე <https://info.parliament.ge/#law-drafting/17728> და <https://info.parliament.ge/#law-drafting/17729>, (ბოლოს ნანახია 23.01.2020)

ანგარიშების განხილვას ესწრებოდა სულ რამდენიმე პარლამენტის წევრი (საშუალოდ 2-დან 5 წევრამდე), რომელთაც ანგარიშების მოსმენის შემდგომ კითხვები არ დაუსვამთ. იგივე შეიძლება ითქვას იუსტიციის სამინისტროს ანგარიშის განხილვის თაობაზე. პარლამენტის წევრთა კომენტარების შინაარსი შემოიფარგლებოდა აღსრულების კუთხით იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღწეული პოზიტიური სურათის ხაზგასმით, არ გაკეთებულა კრიტიკული შენიშვნები ან/და განსახილველ უფლებრივ საკითხებზე შინაარსობრივი კითხვები⁶³. იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი ანგარიშების საკომიტეტო მოსმენაზე შეზღუდული იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მიერ შეკითხვების დასმისათვის განკუთვნილი დრო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პარლამენტის წევრებს ჰქონდათ საკმარისი დრო საკომიტეტო მოსმენამდე, წინასწარ გაცნობოდნენ იუსტიციის სამინისტროს ანგარიშებს, რომლებიც პარლამენტს წარედგინა 1 აპრილს, ხოლო საკომიტეტო მოსმენა მხოლოდ ივლისში გაიმართა.

საქართველოს პარლამენტი უნდა აცნობიერებდეს ამ პროცესში საკუთარ მაკონტროლებელ და საზედამხედველო ფუნქციას; სხვაგვარად ანგარიშების მოსმენა და განხილვა ფორმალურ პროცედურას ემსგავსება, რომელსაც გავლენა ვერ ექნება შედეგზე.

რაც შეეხება საპარლამენტო ზედამხედველობის შედეგობრივ მხარეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტი ცნობად იღებს წარმოდგენილ ანგარიშებს, ანდა შეუძლია შეიმუშაოს დასკვნები და რეკომენდაციები. რეკომენდაციები შესაძლოა მიემართებოდეს როგორც ზოგად, ასევე ინდივიდუალურ ღონისძიებებს. პარლამენტის რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული გაცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულებისთვის ზედამხედველობის რაიმე პროცედურა. რეკომენდაციების გათვალისწინებას პარლამენტი აფასებს შემდეგი წლის ანგარიშის განხილვისას.

ამ კუთხით სასურველია, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები უფრო აქტიურად ადევნებდნენ თვალს გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მოითხოვდნენ ინფორმაციას პერიოდულად შესაბამისი უწყებებიდან და შედეგის გათვალისწინებით წარადგენდნენ განახლებულ რეკომენდაციებს.

მისასალმებელია რომ 2019 წლის ივლისში ალტერნატიული ანგარიშების განხილვის შემდგომ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გამოთქვა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან დამატებითი შეხვედრის სურვილი, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროსა და

⁶³ გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობის პროცესში პარლამენტარების პრაქტიკული ჩართულობის გამოცდილება სხვადასხვაგვარია ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში. მათ შორის, უკრაინასა და რუმინეთში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები სკეპტიკურად არიან განწყობილი პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის მიმართ; თუმცა, განსხვავებული და პოზიტიურია დიდი ბრიტანეთის სპეციალიზებული საპარლამენტო კომიტეტის გამოცდილება, რომელიც არამართო ზედამხედველობს ცალკეული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს, არამედ, თავად ამზადებს საკანონმდებლო პროექტებსა და ცვლილებებს ევროპული კონვენციის სრულყოფილი იმპლემენტაციისათვის. იხ. „პარლამენტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო,“ ელის დონალდი და ფილიპ ლიჩი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016. გვ. 105-110.

გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები. შეხვედრაზე გაჩნდა პარლამენტის კომიტეტის წარმომადგენლებთან კონკრეტული საქმეების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და დეტალური ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა. მსგავსი პრაქტიკა მისასაღებელია, რაც სამომავლოდაც უნდა გაგრძელდეს. ამასთან უმჯობესია, რომ მსგავს შეხვედრებზე განხილულმა საკითხებმა ასახვა ჰპოვოს პარლამენტის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებში. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ სამუშაო ფორმატში ანგარიშების განხილვა ვერ ჩაანაცვლებს საკომიტეტო სესიაზე მთავრობისა და ალტერნატიული ანგარიშების საჯაროდ განხილვის მნიშვნელობას.

4. ეროვნულ დონეზე საქმეთა ხელახალი გამოძიებისა და გადასინჯვის მექანიზმები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ისევე როგორც გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილება/განჩინება, როგორც საქმის ხელახალი განხილვის საფუძველი გათვალისწინებულია სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა⁶⁴ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით⁶⁵, ხოლო, ადმინისტრაციული სამართლის დავებისთვის, მხოლოდ გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების შემთხვევაში⁶⁶.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის ხელახალი განხილვის საფუძველია 2012 წლიდან, ხოლო გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებები 2016 წლიდან. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან ამოქმედებული რეგულაციები კომპენსაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით გავრცელდა იმ პირებზეც, რომელთა მიმართაც უკვე არსებობდა გაეროს ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილება, მათთვის სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გაცემის თაობაზე.

კანონის თანახმად, საერთო სასამართლოებისათვის საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვთ განმცხადებელს, პროკურორს, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს. სხვადასხვა შინაარსის დავაზე გათვალისწინებულია მიმართვის განსხვავებული ვადები:

სისხლის სამართლის საქმეზე (საქმეს იხილავს სააპელაციო სასამართლო):

⁶⁴ იხ. მუხლი 310(ე)(ე¹), საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=106>, (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁶⁵ იხ. მუხლი 423(1)(ზ)(თ), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=133>, (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁶⁶ იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 34², ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=77>, (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

- ევროსასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წელი
- გაეროს შესაბამისი კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 წელი

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე (მოთხოვნას იხილავს განჩინების/გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო):

- ევროსასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვე
- გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილების გამოტანიდან - 6 თვე

საგამოძიებო ორგანოები ევროპული სასამართლოს/გაეროს სახელმეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების და იუსტიციის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე აწარმოებენ საქმის ხელახალ გამოძიებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული საფუძველებით, ნორმათა ამოქმედებიდან 2018 წლის დეკემბრამდე, სასამართლოს მიერ გადაისინჯა 12 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 10 საქმეზე განაჩენი დარჩა უცვლელი, 1 საქმეზე შეწყდა წარმოება, ხოლო 1 საქმეზე გაუქმდა განაჩენი და დაიწყო საქმის ხელახლა განხილვა.

ამავდროულად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლი) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით ეროვნულ სასამართლოებს მიმართეს 7 საქმის მომჩივნებმა. საიდანაც 3 საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი (5 პირის მიმართ), დაუშვებლად იქნა ცნობილი 2 საჩივარი/შუამდგომლობა, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დარჩა 2 საქმეზე.⁶⁷

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ხელახალი გამოძიება, ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2019 წლის სექტემბრის მონაცემებით, 21 სისხლი სამართლის საქმეზე მიმდინარეობს.⁶⁸

⁶⁷ იხ. მათ შორის, **ცოტნე გამსახურდია საქართველოს წინააღმდეგ**, საჩივარი № 59835/12, 2015 წლის 15 სექტემბრის განჩინება მეგობრული მორიგების თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 23 მაისს გააუქმა ცოტნე გამსახურდიას მიმართ 2011 წლის 20 ივლისის გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ეხებოდა სსკ-ის 339-ე მუხლს (ქრთამის მიცემა).

ლონდა თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 46055/06, 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინება ცალმხრივი დეკლარაციის დამტკიცების თაობაზე. მომჩივანმა მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომლის 2014 წლის 13 იანვრის განაჩენით, გაუქმდა მომჩივანის მიმართ დამდგარი თავდაპირველი განაჩენი და ლონდა თაქთაქიშვილი გამართლდა სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

გიორგი ვაშაკიძე და ელდარ გოგბერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი № 25120/07, 2014 წლის 28 იანვრის განჩინება მეგობრული მორიგების თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2017 წლის 11 ივლისს გადაისინჯა მომჩივანთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

⁶⁸ კონსოლიდირებული სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების საფუძველზე გადასინჯული/ხელახლა განხილული საქმეების შესახებ

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გარდა, ხაზგასასმელია ამავე მუხლში 2016 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლს დაემატა ახალი „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, განისაზღვრა განაჩენის გადასინჯვის ახალი საფუძველი, თუ „წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო“.

წინამდებარე ანგარიშის მომზადების მიზნებისთვის შეფასდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეთა გადასინჯვის თაობაზე მიღებული ცალკეული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, პროექტის იმპლემენტაციის პერიოდში კონსტიტუციის 42-ე მუხლის იურისტები წარმოადგენდნენ მომჩივანთა ინტერესებს სასამართლოს წინაშე საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნით სამ საქმეზე,⁶⁹ ხოლო, ერთ საქმეზე წარმოადგენდნენ დაზარალებულის ინტერესებს ხელახალი გამოძიების პროცესში⁷⁰. ამ საქმეთა ანალიზმა, ისევე როგორც გადასინჯვის პროცესში უშუალო მონაწილეობამ მოგვცა საშუალება გამოგვეკვთა ძირითადი გამოწვევები.

i. საქმეთა გადასინჯვის შესახებ საპროცესო ნორმათა ფორმულირება

პირველ საკითხი, რომელიც ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების სრულყოფილად იმპლემენტაციას გარკვეულწილად უშლის ხელს, არის საქმის ხელახლა განხილვის შესახებ კანონის მუხლების ფორმულირება:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით:

მუხლი 310. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველები

[...]

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ე 1) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან

ვერ მოხერხდა და უწყებების მიერ მოწოდებული და ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შესაძლოა არ იყოს სრულყოფილი.

⁶⁹ იხ. ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №17716/08, 2018 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება; გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №13723/06, გადაწყვეტილება 12/10/2017; კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საქმე №36416/06, გადაწყვეტილება 14/03/2019.

⁷⁰ იხ. ვაჟა ბაღაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი 5168/06, განჩინება 18/03/2014.

დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით:

მუხლი 423. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ

[...]

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს;

თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

ორივე მუხლი ფორმულირებულია იმგვარად, რომ საქმის გადასინჯვის შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ პირის საქმეზე, ვისთან დაკავშირებითაც მიიღო გადაწყვეტილება/განჩინება ევროპულმა სასამართლომ/გაეროს კომიტეტებმა.

ამასვე ადასტურებს საქართველოს უზანაესი სასამართლოს პრაქტიკა. უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეების ხელახლა განხილვის მოთხოვნით მიმართეს მსჯავრდებულმა პირებმა⁷¹, რომელთა სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მართალია არ არსებობდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა იდენტური იყო იმ საქმისა, რომელზეც ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ კონვენციის მე-6.1 (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მუხლის დარღვევა დაადგინა. კერძოდ, მათი საქმეები განხილული ჰქონდა ეროვნული სასამართლოს იგივე შემადგენლობას და იმავე პერიოდში, რაც, სხვა საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილ ტრიბუნალს“ და შესაბამისად, არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლს (ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, საჩივრის ნომერი 30323/02, გადაწყვეტილება 28/11/2006).

უზენაესმა სასამართლომ საქმეთა გადასინჯვის მოთხოვნები დაუშვებლად მიიჩნია ქართული კანონმდებლობა არ ცნობს გამონაკლისს ისეთი საქმეებისთვის, რომლებიც არ ყოფილა განხილული ევროსასამართლოს მიერ; მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეებში არსებული დარღვევა იდენტურია ევროსასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ უკვე გამოტანილ გადაწყვეტილებაში დადგენილი უფლების დარღვევისა და საქმის ინდივიდუალური გარემოებები შეფასებას არ საჭიროებს.

⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაიდენტიფიცირებადი ფორმით მოწოდებული გადაწყვეტილებები: საქმე №500აგ-15 20 მაისი, 2016 წელი.

უმჯობესია ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მსგავსი შემთხვევებისთვის საგამონაკლისო ჩანაწერს. აღნიშნული, ეროვნულ სასამართლოებს საშუალებას მისცემს უფრო მოქნილად გამოიყენოს ევროსასამართლოს და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებები, როგორც საქმეების გადასინჯვის საფუძველი, ისე როგორც ამას აკეთებს პოლონეთის სასამართლოები (იხ. ზემოთ ქვეთავი).

ii. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც საქმეთა გადასინჯვის პროცესში გამოიკვეთა, უკავშირდება ყოფილ მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების გადასინჯვას.

ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ ორ გადაწყვეტილებაში „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №45729/05, გადაწყვეტილება 28/03/2017) და „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №13723/06, გადაწყვეტილება 12/10/2017) დაადგინა კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა ერთი და იმავე საფუძველით. კერძოდ, სასამართლოს შეფასებით, მომჩივანი მოსამართლეების წინააღმდეგ 2004-2006 წწ. წარმოებულ დისციპლინურ სამართალწარმოებაში სადისციპლინო საბჭო არ იყო მიუკერძოებელი. რამდენიმე იდენტურ საქმეზე კონვენციის დარღვევა აღიარა საქართველოს მთავრობამ ცალმხრივი დეკლარაციებით.⁷²

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში მომჩივანი მოსამართლეების, გარდა მოსამართლე სტურუასი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 22 თებერვლის კანონის⁷³ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი - *მოსამართლის მიერ მოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა*. რაც შეეხება სტურუას, იგი გათავისუფლდა ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე - *საქმის განხილვის უსაფუძველო გაჭიანურება*.

რამდენიმე მომჩივანმა მოსამართლემ,⁷⁴ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ, მოსამართლეების სტურუას და გაბაიძის საქმეებთან მიმართებით, გააუქმა დისციპლინურ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები და საქმეები ხელახლა განსახილველად დაუბრუნა საქართველოს საერთო

⁷² იდენტურ სხვა საქმეებში, „ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №22715/07, 09/10/2018), „თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №8710/07), 27/11/2018); „ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №7607/07, 27/11/2018), „ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №12611/08 და №25500/08, 09/10/2018) სახელმწიფომ ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა.

⁷³ იხ. კანონის შესაბამისი რედაქცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ბმულზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16774?publication=13>; (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁷⁴ საქმეებში - „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“, „გაბაიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ და „თამარ ლალიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას⁷⁵. სადისციპლინო კოლეგიის შეფასებით⁷⁶, შეუძლებელია ამ საქმეების არსებითი განხილვა ხელახლა, ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების ხანდაზმულობის ვადებს, კერძოდ:

მუხლი 75. დისციპლინური სამართალწარმოების ვადები

მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებით⁷⁷, ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებული ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, ასევე, ახლად აღმოჩენილ/გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვის შემთხვევებზეც.

ხანდაზმულობის ვადის ამგვარი ინტერპრეტაცია შინაარსს აცლის მოსამართლის მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების შიდა დონეზე აღსრულების და გადასინჯვის მექანიზმს და მას უმოქმედოდ აქცევს.

iii. სისხლის სამართლის საქმეთა ხელახალი გამოძიება

რაც შეეხება საქმეთა ხელახალ გამოძიებას, ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს ევროსასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე ხელახალ გამოძიებას „ვაჟა ზაღვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი № 5168/06, 2014 წლის 18 მარტის განჩინება).

ზაღვილის, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულ ცინცაბადის ჯგუფის იმ საქმეებზე, რომლებშიც დანაშაულებრივი ფაქტი ხანგრძლივი პერიოდის (10 და მეტი წელი) უკან მოხდა (ყველა ეს საქმე შეეხება სიცოცხლის უფლების ან წამების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვას), იკვეთება ხელახალი ეფექტური გამოძიების ჩატარების პრობლემები. ამ საქმეებში საგამოძიებო ორგანოები ვერ ახერხებენ ხელშესახები შედეგის მიღწევას და გამოძიების ეფექტიანად დასრულებას. დიდი დროის გასვლა ართულებს მტკიცებულებებსა და მოწმეებზე ხელმისაწვდომობას. თუმცა, ამავდროულად, საგამოძიებო ორგანოები არ წევენ სათანადო ძალისხმევას შედეგის მისაღწევად.

ზაღვილის საქმეზე, განახლებული გამოძიების პირობებში, ადვოკატის მოთხოვნით დაიკითხა დაზარალებულის ადვოკატი, გამოიკითხნენ ექსპერტები, თუმცა,

⁷⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №სპ-15-17 (გაბაიძის საქმეზე); იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 10 ივლისის განჩინება (სტურუას საქმეზე).

⁷⁶ იხ. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №21/01-18 (გაბაიძის საქმეზე).

⁷⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება (სტურუას საქმეზე).

განმცხადებლის ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, გამოძიებას არ გამოუკითხავს ძირითადი თვითმხილველი მოწმე. ამასთან, ბრალდების მხარის საწინააღმდეგოდ, ექსპერტები აცხადებენ, რომ იარაღიდან გასროლა, რამაც დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, შემთხვევით შეუძლებელია მომხდარიყო. განახლებული გამოძიების დაწყებიდან 2 წელზე მეტი დროის გასვლის მიუხედავად, საქმეზე არ ჩანს ხელშესახები შედეგი. ამასთან, საგამოძიებო ორგანოების განცხადებით, ხანდაზმულობის გამო, შეუძლებელია საქმეზე ეფექტიანი და შედეგის მომტანი გამოძიების ჩატარება. ჩნდება განცდა, რომ ახალი გამოძიების დაწყების პირობებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები ფორმალურ ხასიათს ატარებს და მათი მიზანი გამოძიების დახურვაა და არა დამნაშავეის დასჯა.

აქვე უნდა აღინიშნოს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განმცხადებელთა წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა - განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენილიყო მეგობრული მორიგებისა და სახელმწიფოს ცალმხრივი დეკლარაციების საფუძველზე დასრულებული საქმეები: თედლიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ბექაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, სტუდია მანსტრო საქართველოს წინააღმდეგ და მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ⁷⁸. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს ევროსასამართლოს განჩინებების საფუძველზე აღებულ ვალდებულებას, ეფექტურად გამოიძიოს ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტები. მიუხედავად იმისა, რომ საქმეებზე ხელახალი გამოძიება საქართველოს საგამოძიებო ორგანოებში 2015 წლიდან გრძელდება და არ არის მიღებული არც ერთი შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს დასახელებულ საქმეთა ნუსხაში აღდგენის საფუძველი⁷⁹.

ამ ფონზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სახელმწიფოს მიერ მეგობრული მორიგების ან ცალმხრივი დეკლარაციით ევროპული სასამართლოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხი, ეფექტურად გამოიძიონ სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) მუხლით დაცული უფლებების დარღვევები. ასეთ შემთხვევებთან გვაქვს საქმე როგორც ვაჟა ზაღაშვილის, ასევე ცინცაბაძის ჯგუფის არაერთ საქმესთან მიმართებით. მსგავსი პრაქტიკა კითხვის ნიშნებს აჩენს თავად ევროსასამართლოს სისტემის ეფექტურობასთან დაკავშირებით, როდესაც მეგობრული მორიგებისა თუ მით უფრო, სახელმწიფოს მიერ ცალმხრივი დეკლარაციის მიღების შემთხვევაში ვერ ხდება სახელმწიფოს მიერ აღებული, ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესრულება.

⁷⁸ იხ. საიამ ევროპულ სასამართლოში განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხული საჩივრების აღდგენის მოთხოვნით საქართველოდან პირველი საჩივარი გააგზავნა, 23.01.2018, ხელმისაწვდომია <https://gyla.ge/ge/post/saiam-evropul-sasamartloshi-gansakhilvel-saqmeta-nuskhidan-amorickhuli-sachivrebis-aghgdgenis-motkhovnit-saqartvelodan-pirveli-sachivari-gagzavna#sthash.JmRcvgg3.dpbs> (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁷⁹ იხ. სტრასბურგის სასამართლომ მთავრობის წინააღმდეგ საიას საჩივარი არ დააკმაყოფილა, 14.11.2018, ხელმისაწვდომია <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7823> , (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

5. ომბუდსმენისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა აღსრულების პროცესში

საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში, როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე შიდა საპარლამენტო თუ სამთავრობო განხილვებში მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის - როგორც აღსრულების პროცესზე არაფორმალური ზედამხედველის როლი. არასამთავრობო ორგანიზაციების ამგვარი როლი არაერთხელ იქნა ხაზგასმული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ, რაც შემდგომში განმტკიცდა კიდევ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის პროცედურებით. ევროპის საბჭოს სისტემაში, ფორმალიზებულია შესაძლებლობა სამოქალაქო სექტორისათვის, წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წელს მიღებული „გადაწყვეტილებებისა და მორიგების პირობების აღსრულების წესების“ მე-9 წესის თანახმად, მომჩივანის წარმომადგენლებს, ეროვნულ ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მინისტრთა კომიტეტს გაუგზავნონ კომუნიკაციები ევროსასამართლოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე.⁸⁰

ზემოაღნიშნულ შესაძლებლობას აქტიურად იყენებს ქართული სამოქალაქო სექტორი, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველი. როგორც წარდგენილი კომუნიკაციების ანალიზი აჩვენებს, სახალხო დამცველი ორიენტირებულია სისტემურ პრობლემებზე. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ პირველი კომუნიკაცია⁸¹ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს, ღარიბაშვილის (იგივე ცინცაბადის) ჯგუფის საქმეების აღსრულების სისტემურ ხარვეზებთან დაკავშირებით წარადგინა. კიდევ ერთი მაგალითი არის სახალხო დამცველის მიერ მინისტრთა კომიტეტისათვის წარდგენილი კომუნიკაცია საქმეზე, მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, სადაც საუბარია ციხეში ვიდეო კამერების ჩანაწერების შენახვის რეგულაციებზე⁸².

საქართველოში მოქმედი ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები (როგორც არის კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საია, ადამიანის უფლებათა ცენტრი), როგორც წესი მონიტორინგს უწევენ იმ საქმეების აღსრულებას, რომლებშიც მომჩივანთა ინტერესებს წარმოადგენდნენ ევროპულ სასამართლოსა თუ გაეროს კომიტეტებში. თუმცა, არის კოალიციურად მოსაზრების წარდგენის მაგალითებიც (მაგ. კოალიცია დამოუკიდებელი

⁸⁰ იხ. „მინისტრთა კომიტეტის წესები გადაწყვეტილებებისა და მეგობრული მორიგები აღსრულების შესახებ“, წესი 9, ხელმისაწვდომია ბმულზე <https://rm.coe.int/16806eebf0> (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁸¹ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს (28/11/2016) „ღარიბაშვილის ჯგუფის“ საქმეების აღსრულების შესახებ, (საჩივარი 11830/03), ხელმისაწვდომია ბმულზე https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016806c6f6d, (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

⁸² იხ. საქართველოს სახალხო დამცველის კომუნიკაცია საქმეზე მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი 72508/13), 22 ნოემბერი 2018 წ. ხელმისაწვდომია ბმულზე

და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ცინაცაბადის ჯგუფის საქმეებზე წარდგენილი კომუნიკაცია).

საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შიდა მექანიზმის ზოგად მონიტორინგსა და შეფასებას არასამთავრობო ორგანიზაციები ნაკლებად ახორციელებენ. იგივე შეიძლება ითქვას სახალხო დამცველზე, რომლის საპარლამენტო ანგარიშებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების მექანიზმის შეფასება არ გვხვდება.

საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმის გააქტიურებასა და მის ეფექტურობას მეტწილად შეუწყობს ხელს სახალხო დამცველის დაინტერესება პროცესით და მისი ჩართულობა. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი ძალიან ახალია და საქართველოს მთავრობის ანგარიშების საჯარო მოსმენა 2017 წლიდან, ჯერ მხოლოდ ორჯერ გაიმართა.

მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორისა და სახალხო დამცველის ჩართულობა იუსტიციის სამინისტროს მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპზე. განსაკუთრებით ისეთ საქმეებთან მიმართებით, რომლებიც სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს და მინისტრთა კომიტეტში აღსრულების გაძლიერებული პროცედურით განიხილება.

მას შემდეგ რაც 2016 წელს საქართველოში დაინერგა ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი, 2019 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირველად ისარგებლეს ალტერნატიული ანგარიშების წარდგენის შესაძლებლობით.⁸³

ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების შიდა მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით, საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმის დახვეწის პარალელურად, უნდა შეიქმნას აღნიშნულ პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმი. მექანიზმი ხელს შეუწყობს იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორს შორის მუდმივ თანამშრომლობას, ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლას და აღსრულების პროცესში გადასადგმელი ნაბიჯების სისტემურად და სიღრმისეულად დაგეგმვას, რაც თავის მხრივ პოზიტიურად აისახება აღსრულების პროცესის შედეგობრივ მხარეზე.

⁸³ იხ. „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ პარლამენტში ალტერნატიული ანგარიში წარადგინა, 9 ივლისი, 2019 წ. ხელმისაწვდომია ბმულზე <https://article42.ge/ka/siakhleebi/article/73966-konstituciis-42-e-mukhlma-parlamentshi-alternatiuli-angarishi-tsaradgina>, (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

იხ. საიამ პარლამენტს ალტერნატიული ანგარიში წარუდგინა, 6 ივნისი, 2019 წ. ხელმისაწვდომია ბმულზე https://gyula.ge/ge/post/saiam-parlaments-alternatiuli-angarishi-tsarudgina?fbclid=IwAR0Ose_qFGlfUk7nd1u0CeX6xahWZN3stEarFQWaOYG_NLidGzyPonVSi-o#sthash.39e6rVoP.dpbs, (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

VI. დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა იცნობს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მიერ ინდივიდუალურ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების სრულყოფილად აღსრულების ყველა შესაძლო მექანიზმს - იქნება ეს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების გადასინჯვა თუ საპარლამენტო ზედამხედველობა. სახეზეა სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის - სახალხო დამცველის ჩართულობის შემთხვევები (თუმცა არა რეგულარული) ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

თუმცა, ყველა ეს პროცესი გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება, მათ შორის მეტწილად იმ ფაქტის გამო, რომ ყველა აღნიშნული მექანიზმი ახლადშექმნილია და ნაკლებია მათი გამოყენების პრაქტიკა, ისევე როგორც მათ შესახებ ინფორმაცია.

პარლამენტის სახედამხედველო მექანიზმი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შიდა მექანიზმია გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. მისასაღებელია, რომ 2017 წლიდან ეს მექანიზმი უმჯობესდება და იხვეწება. ასევე მნიშვნელოვანია რომ სამოქალაქო სექტორი გამოხატავს მეტ დაინტერესებასა და ჩართულობის სურვილს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2017 წლის ანგარიშში საქართველოში მოქმედი საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმი დადებითად იქნა შეფასებული და ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითადაა მიჩნეული.⁸⁴

დასკვნის სახით წარმოდგენილია პროექტის ფარგლებში მონიტორინგისა და საქმისწარმოების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციები, აღსრულების პროცესში ჩართული პასუხისმგებელი უწყებების მიმართ.

• რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას/იუსტიციის სამინისტროს:

- მომჩივანის/მისი წარმომადგენლის ჩართვა სამოქმედო გეგმის მომზადების ეტაპზე არ წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეცვალოს ეს მიდგომა და უზრუნველყოს სამოქმედო გეგმაზე/შესრულების ანგარიშზე მუშაობის პროცესში მომჩივანის/მისი წარმომადგენლის ჩართულობა
- უზრუნველყოს დაინტერესებული ჯგუფებისა და თემატური არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, განსაკუთრებით იმ საქმეებში, სადაც გამოკვეთილია სისტემური პრობლემები და სახეზეა ზოგადი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა

⁸⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ანგარიში, 2017წ., გვ. 22, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/annual-report-2017/16807af92b> (ბოლოს ნანახია 23.01.2020).

- საჭიროა ევროსასამართლოს/გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე ეროვნულ სასამართლოებში საქმეთა გადასინჯვის შესახებ ინფორმაციის მოძიების მექანიზმების დახვეწა. ამ მხრივ ნაკლოვანებები გამოჩნდა როგორც იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტისათვის წარდგენილ 2019 წლის ანგარიშში (ყოფილი მოსამართლეების საქმეთა შესახებ ინფორმაციის არარსებობა), ასევე მინისტრთა კომიტეტში ქართველიშვილის საქმეზე 2019 წლის სექტემბერში გაგზავნილი ინფორმაციაში
 - აუცილებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშაოს პროაქტიული მიდგომა ზოგადი ღონისძიებების გატარების კუთხით; კერძოდ, ამა თუ იმ გადაწყვეტილების აღსასრულებლად გაცემული რეკომენდაციების ფორმალურ შესრულებასთან ერთად უზრუნველყოს ისეთი ზოგადი ზომების გატარება, რომელიც აღმოფხვრის უფლების დარღვევის წყაროს და მოახდენს იმავე შინაარსის დარღვევების პრევენციას
 - იუსტიციის სამინისტრომ უზრუნველყოს მინისტრთა კომიტეტისა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებისათვის გაგზავნილი სამოქმედო გეგმებისა და ანგარიშების თანადროული მიწოდება საქართველოს პარლამენტისათვის, ქართულ ენაზე
 - ევროსასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების აღსრულების შიდა მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით, საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმის დახვეწის პარალელურად, უნდა შეიქმნას ამ პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმი
 - უზრუნველყოს ევროსასამართლოსა და გაროს კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების თარგმნა და გამოქვეყნება ქართულ ენაზე
 - უზრუნველყოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებების/განჩინებების თაობაზე სრულყოფილი და განახლებული ინფორმაციის და სტატისტიკის დროული განთავსება
- **რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს:**
 - განისაზღვროს რომელი საპარლამენტო კომიტეტის/კომიტეტების უფლებამოსილებაა ევროსასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულებაზე ზედამხედველობა

- ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ საქართველოს მთავრობისა და დაინტერესებული პირების/ჯგუფების მიერ წარდგენილი ანგარიშების განხილვა მოხდეს ერთი და იმავე საკომიტეტო მოსმენაზე, დისკუსიის უზრუნველყოფის მიზნით
- შესაბამისმა საპარლამენტო კომიტეტმა უზრუნველყოს ალტერნატიული ანგარიშების საქართველოს მთავრობისათვის/საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის გადაგზავნა,
- პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშების მოსმენისას უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს პარლამენტის წევრების დასწრება და ჩართულობა
- საქართველოს პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმა შეიმუშაონ ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშების მოსმენის შემდგომ რეკომენდაციების მომზადებისა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმი
- საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე, ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ ანგარიშების მოსმენისას უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, სასამართლოს წარმომადგენელთა მონაწილეობა

რეკომენდაციების საგამომიებო ორგანოებს

- ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების/განჩინებების საფუძველზე საქმის ხელახლა გამოძიების შემთხვევაში ზედმიწევნით სრულად ჩატარდეს ყველა საჭირო საგამომიებო მოქმედება, მათ შორის დასაბუთებული პასუხი გაეცეს საქმეში ჩართული მხარის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ორგანოს გადაწყვეტილებაში მითითებულ ხარვეზებს.

საქართველოს საერთო სასამართლოებს

- აწარმოოს ზუსტი და სრულყოფილი სტატისტიკა ევროსასამართლოსა და გაეროს სახელმეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე საქმის ხელახალი გადასინჯვის მოთხოვნების შესახებ.